1927 წ. თებერვალი.

№ 14.

ფასი 2 ფრ.

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Édition Mensuelle

1927. — FEVRIER № 14

Prix : 2 fr.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიების საერთო ორგანო.

## ეროვნებათა კითხვა «ს. ს. რ. კავშირში».

იყო დრო, როცა ყოფილ რუსეთის იმპერიის გადაღმა ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მის განუზომელ ტერიტორიაზედ მოსახლე ერთა და ტომთა შესახებ. თუ არ ვიგულისხმებთ თვითონ რუსებს და რამდენათმე პოლონელებს და ფინებს, საჭირო იყო გეოგრაფ-ეთნოგრაფებისთვის მიემართა ევროპიელს, რომ ცოტაოდენი რამე გაეგო სხვა ხალხებზე. ისიც არ დაგვიწყნია, რომ, ომის წინ, ევროპაში ყველას «რუსად» ნათლავდენ: ქართველს, სომეხს, ესტონელს, ლატველს და სხ. არავის სჯეროდა, რომ მათი ენა იგივე არ იყო, რაც რუსების; საკუთარი ალფაბიტი, მწერლობა, პოეზია ხომ სრულიად მოჭორილად მიაჩნდათ.

არაფერია გასაკვირი ამაში, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მწარე სინამდვილეს, რომ ყველა ეს არარუსი ერები და ტომები ორ-თავიან არწივის კლანჭებში გმინავდენ და არ ჰქონდათ არავითარი საშუალება ხმა მიეწვდინათ ვისმესთვის იმპერიის გადაღმა. ისინი დიდის ხნით წაშლილი იყვნენ რუქიდან. ვინმეს, მაგ., პარიზიდან რომ წერილი გაეგზავნა და ზედ წაეწერა «საქართველო», იგი არ მიუვიდოდა ადრესატს, რადგან ეს სიტყვა ამოღებული იყო ყველა ქვეყნის სარჩევიდან. ცარიზმმა წაშალა ყველა არარუს ქვეყნების გეოგრაფიული სახელები, დაჰყო ისინი გუბერნიებად, მაზრებად, მონათლა ბევრი ქალაქებიც რუსის მეფეთა და დიდებულთა სახელებით, ასე რომ, მაგ., ტამბოვი და ელისავეტოპოლი, რიაზანი და პეტროვსკი ერთმანეთში ირეოდა უცხოელის წარმოდგენაში. რაღა გავაგრძელოთ, როცა რუსეთის პოლონეთიც ვისლის გუბერნიებად იწოდებოდა. როცა რუსის ბიუროკრატს სურდა არარუსებზე ელაპარაკნა, ის მათ «ინოროდცებს» უწოდებდა მედიდურათ; ან კიდევ, როცა კითხვა ეხებოდა კავკასიელებს, მათ ის «ტუზემცებს» დაუძახებდა, როგორც ეს მიღებულია აფრიკის კოლონიებში.

მაგრამ თავი და თავი ეგ როდია. ძველი რეჟიმი სერიოზულათ ფიქრობდა არარუს ერთა სრულიად გადაგვარებას და ამისათვის მიმართავდა ათას და ერთ ზომას. ჩვენ ვერ შევჩერდებით ამ ჟამად ეკონომიურ და ადმინისტრატიულ ჩაგვრადევნაზე—ამ მხრივ არც რუსები იყვნენ მაინც და მაინც გახარებულნი—, თუმცა ამათი ჩაგვრა თავის სიმკაცრით ვერ შეედრებოდა იმათისას.

მაშასადამე, არარუს ერთა დენაციონალიზაცია, ან რაც იგივეა—რუსიფიკაცია, ძველი რეჟიმის მართვა-გამგეობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო. ნაციონალური ენა დევნილი იყო სკოლაში, ეკლესიაში, ადმინისტრაციაში, სასამართლოში. მას ვერ იხმარდენ სოფლელებიც თემის განაჩენის დაწერის დროს. უკრაინაში ხელისუფლება უფრო შორს მიდიოდა: იქ არ შეეძლოთ პირველდაწყებით სკოლაშიც დედა-ენაზე სწავლება, აღკვეთილი იყო წიგნის, გაზეთის გამოცემა მათ ენაზე.

საქმე იქამდისინ მივიდა, რომ არარუსებს არამც თუ მაღალი, საშუალო განათლების მიღებაც არ შეეძლოთ თავიანთ ენაზე. უმეტეს შემთხვევაში სახელმძღვანელონიც არ მოიპოვებოდა გიმნაზიებისათვის. ან რაღა საჭირო იყო, როცა ყველა საგნების სწავლება იქ რუსულ ენაზე ხდებოდა.

მაგრამ ესეც არ იკმარა რუსის ბიუროკრატიამ: ის არც რუსულ საშუალო სასწავლებლებს ხსნიდა საკმაოთ, ასე რომ ორი მესამედი მოსწავლე ახალგაზრდობისა მიხურულ კარების წინ რჩებოდა. გაიხსენეთ ტიპიური ფაქტი, როცა კავკასია მოითხოვდა ნახევარ საუკუნის განმავლობაში რუსულ უნივერსიტეტის გახსნას თფილისში, და ეს მიუღწეველი დარჩა ცარიზმის დაცემამდე. რევოლიუციის ხანაში, რა თქმა უნდა, კავკასიის ერებმა არა რუსული, არამედ ნაციონალური უნივერსიტეტები დაიარსეს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსულ ემიგრაციის პრესა ევროპაში ხშირათ გადაჰკრავს ცხვირ აწევით არარუს ერებს, რომ ესენი ცოდნა-განათლებას რუსულ ენაზე იძენდენო, და ანგარიშს არ უწევს იმ უბრალო ფაქტს, რომ არარუსულ ენაზე ეგ სრულიად აღკვეთილი იყო. რუსული პრესა იმასაც გვიკიჟინებს, რომ ძველი რეჟიმის დროს დამოუკიდებლობას არც კი მოითხოვდითო. ეგ მართალია, იმდენათ მართალია, რომ პოლონური კოლო დუმაში ავტონომიის ხსენებასაც ძლივს ახერხებდა. განა რაა აქ გასაკვირი? თვით რუსები ბედავდენ, მაგ., რესპუბლიკის საჯაროთ დაცვას? მოიგონეთ, რა მოუვიდა ჩხეიძეს ამ სიტყვის ტრიბუნიდან წარმოთქმისთვის.

მაშასადამე, პირობები ისეთი დუხჭირი იყო, ძველი რეჟიმის დროს, არარუს ერებისთვის, რომ მათ არ შეეძლოთ თავიანთ იდუმალ ზრახვების გამომჟღავნებაც კი. უდიდეს მნიშვნელობის არის მარტოთ-მარტო ის ფაქტი, რომ ამ ერებმა, მიუხედავათ საშინელ პირობებისა, მაინც შეინარჩუნეს თავიანთი სახეობა, გამოდგენ უძლევი რუსიფიკაციისაგან, შეინახეს ნაციონალური იდეალი და, როცა მომენტი დადგა, კიდეც განახორციელეს იგი რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ ფორმებში. დღეს ხომ ყველასათვის ცხადია, რომ იმპერიის დაშლაში, 1917 და 1918 წ. წ., ეროვნულმა მომენტმა დიდი როლი ითამაშა.

და ბოლშევიკებმაც, მიუხედავათ მათი ლავრეტიანობისა, სწორეთ ეს მიზეზი იმპერიის დაშლისა კარგათ შეიგნეს. ლენინმა ჯერ კიდევ ომის დროს გადაისროლა ლოზუნგი: «ერის თვითგამორკვევა ვიდრე გამოყოფამდე». ეხლა ხომ ენას არ მოაბრუნებენ ისინი, რომ არ წამოიყრანტალონ: «დამოუკიდებლობა, ფედერაცია, კავშირი»; მათ კონსტიტუციაც კი დასწერეს, სადაც სულაც კი წაშალეს სიტყვა «რუსეთი» და აღიარეს თვითეულ ერის სრული უფლება გამოეყოს «კავშირს», როცა მოისურვებს!

ჩვენ არ გვჭირია შეჩერება იმაზე, თუ როგორია მათი ნამდვილი პოლიტიკა არარუს ერთა მიმართ. ერთი შეგვიძლია მხოლოდ ვსთქვათ, რომ მოსკოვი ემუქრება მათ ფიზიკურ არსებობასაც კი, არა თუ პოლიტიკურ იდეალს, პატივმოყვარეობას, წინსვლას.

მაგრამ მოსკოვს მაინც ეჭივრება ერების დიდ მოჭირნახულედ მოგვაჩვენოს თავის თავი. მან დააარსა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, უკრაინის, თეთრ რუსეთის, თურქესტანის რესპუბლიკები, შექმნა რუსეთის ფედერაციაში 20-მდე ავტონომიური ერთეულები არარუსთათვის, და ყველა ისინი შერეკა «კავშირში», რომლის ბატონი და პატრონი თვითონაა, ე. ი. არა ნაციონალური ორგანოები, არამედ კომპარტიის პოლიტბიურო. მოსკოვი იძულებული შეიქნა დაეშვა დაწესებულებებში ნაციონალური ენა, და იგი მეტ-ნაკლებათ ხმარებაშია რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ერთეულებში.

ფრიად დამახასიათებელია ამ შემთხვევაში მოსკოვის პოლიტიკის ორი გარკვეული მიდრეკილება. ის ცდილობს, ერთის მხრით, დაწინაურებული, მდიდარი წარსულის მქონე არა რუსი ერები პირველყოფილ, ტყეში და ველში გაპნეულ მოდგმებს გაუთანასწოროს, როგორიცაა: ვოტიაკები, სამოედები, ზირიანები და სხ. მეორეს მხრით, იმ ერებში, რომლებში პოლიტიკურ სიმწიფეს მაღალ ხარისხამდე მიუღწევია, მოსკოვი ცდილობს ყოველი საშუალებით შეაფერხოს მათი წინსვლა, განსაკუთრებით განათლების საქმეში. სანიმუშოთ შეგვიძლია მივუთითოთ მოსკოვის გალაშქრებაზე ქართულ უნივერსიტეტის წინააღმდეგ, რომელიც უცხოელთა განცვიფრებას იწვევდა თავის მიღწევებით. მოსკოვმა რექტორობიდან გადააყენა თვით უნივერსიტეტის ერთი დამაარსებელთაგანი და ცნობილი მეცნიერი და მის მაგიერ დანიშნა ისეთი პირი, რომელსაც გიმნაზიაც არ დაუმთავრებია. ამასთანავე მოსკოვი დიდ აღშფოთებაშია იმის გამო, რომ «ლენინის ენა», ე. ი. რუსული ხმარებაში არ არის და ზოგიერთ სამეცნიერო ბიულეტენებს უნივერსიტეტი გერმანულ ენაზე აქვეყნებსო.

მოსკოვის მედროვეთა ცინიზმი. სიტყვისა და საქმის აშკარა შეუსაბამლობა, ისედაც საქვეყნოთ ცნობილია, რომ ჩვენ კიდევ არ შევუდგეთ მის ვრცლათ ღასაბუთებას. ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაკოტრებული ბოლშევიზმი ებღაუჭება ეროვნულ დემაგოგიას, რათა თავი გადაირჩინოს სრულიად განადგურებისაგან. სხვა არ იყოს რა, სოციალური მოტივები ეხლა არ ჭრის, რომლითაც მას სურდა ევროპის აფეთქება, ეროვნული პრობლემა კი შედარებით მოწესრიგებულია იქ; დარჩა აზია და ჩრდილო აფრიკა, სადაც ეროვნული მოტივები ყველა სხვაზე ძლიერია. ჩვენ საქმე გვაქვს მოსკოვის წითელ იმპერიალიზმთან, რომლის დევიზია: ბორკილი შინ, თავისუფლება გარეთ. თავისუფლება მანამდის, რა თქმა უნდა, სანამ იქ საბჭოთა ხელისუფლება არ დამყარებულა.

მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ მტერსაც კი მივუზღათ, რაც მას ეკუთვნის. ოქტომბრის გადატრიალებამ და ბოლშევიზმის «მოღვაწეობამ» მას შემდეგ, ფარდა ახადა ძველი რეჟიმის ნამდვილ ვითარებას და დღეს უკვე ბრმათაც კი აეხილათ თვალი იმის შესახებ, რომ ყოფილი რუსეთის იმპერია და დღეს კი «ს. ს. რ. კავშირი» დიახაც არ წარმოადგენს იმ მთლიან ორგანიზმს, რომელსაც ასე შეეჩვია უცხოეთი საუკუნეთა განმავლობაში. ჩვენ ჯერ კიდევ ხელთ არა გვაქვს საბჭოთა მთავრობის მიერ მოხდენილ საყოველთაო აღწერის ყველა შედეგები; რაც გამოქვეყნდა, ეხება მხოლოდ მცხოვრებთა საერთო რაოდენობას, მათ განაწილებას სოფლად და ქალაქად და სხ.; არც ვართ დარწმუნებული, იხილავს თუ არა საზოგადოთ დღის სინათლეს რუს და არარუს ეროვნულ ტერიტორიებზედ მოსახლეთა რაოდენობის და შედარებითი ცხრილებს. ყოველ შემთხვევაში, ერთი მაინც უდაოა ყველასთვის, რომ არარუსები, ერთათ აღებულნი, მეტი არიან, ვინემ რუსები და ეს პოლონეთ-ფინეთ-ბალტიელთა გამოკლებით. ეს ფაქტი უკვე თავის თავთ ლაპარაკობს, რა დიდი ადგილი უჭირავს ეროვნებათა კითხვას «საბ. სოც. რეს. კავშირში».

არარუსი ერები ერთი წამითაც ვერ შეარყია, რა თქმა უნდა, მოსკოვის დემაგოგიამ, მისმა დაშაქრულმა კნუტმა. ისინი იბრძვიან სხვადასხვა სახით და მეთოდებით ერთისა და იმავე მიზნის—დამოუკიდებლობის მისაღწევათ. არა ერთხელ ჰქონდა ადგილი შეიარაღებულ გამოსვლებსაც. ყველას ახსოვს აჯანყება საქართველოში, პარტიზანული ბრძოლები მთაში, აზერბეიჯანში, უკრაინაში, ხოლო თურქესტანში დღესაც წარმოებს იგი.

მოსკოვი დიდ შიშს განიცდის იმის გამო, რომ მას ვერ შეუნელებია მისგანვე გამოწვეული ქარიშხალი. მან გადაისროლა ლიტონი ფორმულები: თვითგამორკვევა, დამოუკიდებლობა, ხოლო ერებს სურთ შინაარსი ჩადვან ამ ფორმულებში. ჩვენ გვახსოვს, როგორ ალმაცურათ უყურებდენ ევროპაში უკრაინას, როცა ის ფაქტიურათ დამოუკიდებელი იყო, მხოლოდ რჩეულებს სწამდათ თვით უკრაინელ ერის არსებობა. დღეს კი არავინ მოიპოვება ისეთი, ვისაც იჭვის შეტანა შეეძლოს ამაში. პირიქით, რუსების შემდეგ ეს მეორე დიდი ერი «ს. ს. რ. კავშირისა» დღითი-დღე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, და, შეიძლება ითქვას, რამდენათმე თვით მოსკოვის პოლიტიკის წყალობით, მის და უნებურათ, ცხადია.

მაგრამ ერთია უცხოეთის ყურადღება და მეორე—ჩაგრულ ერების თვითმოქმედება, მათი ბრძოლის უნარი, თავდადება, გამძლეობა. ჩვენ უნდა ვაღიაროთ კმაყოფილებით, რომ «ს. ს. რ. კ.». არა რუს ერებს არ აკლიათ ეს თვისებები და, ამის გარდა, ციური ცეცხლი და ურყევი რწმენა საბოლოო გამარჯვებისა.

---

## ექვსი წელი.

ექვსი წელი—ექვსი სუდარა საქართველოზე გადაფარებული, ექვსი მახვილი ქართველი ერის სხეულში ჩასობილი.

გადის დრო, იცვლება ჟამი, არ იცვლება ქვეყნის სატკივარი, არ ნელდება მისი ტანჯვა მრავალი.

დღესაც, ისე როგორც ექვსი წლის წინეთ, ქართველი ხალხი მწარეთ დასტირის დაკარგულ თავისუფლებას, თვალწინ იგონებს განვლილ კმაყოფილებას. წყლული წყლულს ემატება, ნაღველი ნაღველს ეამბორება.

დღეს თვითეული ქართველი თავის თავს გაოცებით ეკითხება: რა აღგვითქვეს, რა აგვისრულეს!

აღგვითქვეს კეთილდღეობა, მოგვიტანეს ტანჯვა-ვაება; აღგვითქვეს ძმობა, ერთობა, მოგვიტანეს შური და მტრობა; დაგვპირდენ ბედნიერება, თავს დაგვატეხეს უბედურება.

ხალხი შეშფოთდა, შეინძრა და გაახილა თვალი მართალი. იწყება მისი აღდგომა, მისი განკურნება, მისი ამაღლება. სული ახლდება, ბურუსი იფანტება, გონება ფხიზლდება და მტერი ვერაგი ყველასთვის დასანახავი ხდება. ის ბინადრობს ხალხში, მარა ხალხი მას არ ეკარება, ის კვლავ განაგრძობს დაპირებას, მარა ხალხი მას არ ენდობა; მისი საქმე შავათ უჩანს, მისი სიტყვა აღარ ეყურება.

დავკარგეთ თავის-თავის ბატონობა, მარა მივიღეთ თავისთავის შეგნება. მოგვკლეს, მარა არ მოვკვდით, დაგვაძინეს, მარა არ გვძინავს. ჩვენთვის მომზადებული სასაფლაო მათთვის ითხრება.

ექვსი მძიმე წელი, მსხვერპლით და თავის დადებით აღსავსე წელი, არის წელი ჩვენი სულიერი აღორძინების, ხალხის ერათ გადაქცევის. აჟღერდა ძველი სიმები, ათასი წლობით დაწნული და ჩვენი ჭირვარამის საკრავზე ჩამწკრივებული. გამოჩნდა განვლილ სევდათა ნაქსოვი, მტკიცე ნაჭედივით და სათუთი გრძნობებივით. ხალხმა მას მიაგნო, მას ხელი ჩასჭიდა და ხსნის ბერკეტათ გამოაცხადა.

ერმა მონახა თავის თავი და უძლეველი შეიქნა.

დაგვმარხეს, მარა ავდექით და სიცოცხლის ველზე დავდექით. რით? მხოლოთ ერთი იარაღით, ამაყი სულით და ძლიერი ნებისყოფით. ჩვენ გვსურს სიცოცხლე და ვიცოცხლებთ, ჩვენ გვსურს თავისთავი ჩვენვე გვეკუთვნოდეს და გვეკუთნება. ერმა დაისახა დიადი მიზანი და წელში გაიმართა, ის, დამჯდარი, ადგა და გმირი გამოჩნდა. ის შეუდგა თავის დაცვას ყველა ფრონტზე, ყველა ასპარეზზე.

გაქრა ის დრო, როცა ქართველი ხალხი ჩრდილოეთიდან სინათლეს სასოებით მოელოდა; იქიდან მოდის სიბნელე და მან ზურგი შეაქცია მას; იქიდან მოდის გათახსირება საზოგადოებრივი, ოჯახური, მეგობრულ-ნათესაური და მას კარი გამოუკეტა; იქიდან აფურთხებენ და ფეხქვეშ თელავენ წმითათა-წმიდას და მას ერი არ აყვა; საქართველომ მოსკოვი არ მიიღო არც პოლიტიკურათ, არც კულტურულათ, არც მორალურათ. საქართველოს აქვს თავისი საკუთარი პოლიტიკა, საკუთარი კულტურა და ზნეობა. ამ სიმაგრეში ის ჩაჯდა, მის ირგვლივ შემოკრბა. მოსკოვი შეიქნა განმარტოვებული, უძირო და უნიადაგო.

დიადია ეს ბრძოლა, ფართეა მისი სარბიელი, შორს ძევს მისი საზღვარი. ხალხი თავს იცავს ფეხდაფეხ, ყოველ წუთში, ყოველ საათში, განუწყვეტლივ, შეუჩერებლათ. მას არღვევენ ყოველ ჟამს მთელი სახელმწიფო აპარატებით, ის შენდება ყოველ ჟამს თავისი სულიერი ძალღონით. მის მიჯაჭულ სხეულს კორტნის მუდამ ჟამს ყვავ-ყორანნი, მარა მისი იარები მთელდება. ქართული ერის მორალს ასქდება ულმობელი მტერი, აქ ის იჩოქებს და მარცხდება.

ექვსი წელი, წელი დიადი ბრძოლის, მედგარი იერიშების. დიდი გაჭირვება კვეთს დიდ ხასიათს. ამ ექვსმა წელმა გამოკვეთა ახალი ქართველი, აღადგინა ძველი მებრძოლი, უშიშარი და თავის დამდები. გადასახლება, წამება, ხვრეტა მას ამამაცებს; მან გააწბილა მოციქული, შიშმა ვერ შექმნა სიყვარული.

აქ გადაწყდა ბედი ქართლისა; აქ ჩაიყარა მისი არსებობის ღრმა საძირკველი. მას ვერ გაარღვევს მრისხანე მტერი. მას არღვევდა დიდი სპარსეთი, დიდი ოსმალეთი, დიდი ურდოები. ჩვენი დამრღვევი თვითონ ირღვევა—ამას ვერ ასცდება მოსკოველები.

«გადაგვხვდია ბრძოლა მრავალი, ტანჯულმა სულმა არ იცის დაღლა». ქართველი ერი არ დაიღლება. მისდევს ჟამი ჟამს, თაობა თაობას, იცვლება მდგომარეობა, არ იცვლება მისი ბუნება, არ სუსტდება მისი სასიცოცხლო ძარღვი, მისი აღფრთოვანება. ის თავს იცავს ახლაც ისე, როგორც ათასი წლის წინეთ, ავლებს საზღვარს მტერს და თავის შორის, აღმართავს ციხეს ამ ხაზზე და ეპირდაპირება გადაღმელთ ყოველ სფეროში. ეს ციხე დღეს ხელთუქმნელია, ამიტომ ის აუღებელია. ხიშტი ხიშტს მოერევა, ზარბაზანი ჩააჩუმებს ზარბაზანს, მარა ის უძლურია მხნე სულის და მაგარი ნების წინაშე. რკინა შესცვალა რწმენამ, ყუმბარა გადაწყვეტილებამ.

ხალხი იღუპება როცა მისი სული, მისი მორალი ტყდება. მაშინ ის ბრბოთ იქცევა, სარეკ ჯოგს ემსგავსება. ქართლის თესლი ამ გზით არ მოიმართება. ის მუდამ წარმოადგენდა დაწყობილ, დარაზმულ ერს, ორგანიზაციულათ დაკავშირებულს. ამით გამოიტანა მან თავი ბნელი საუკუნოებიდან. ის დღესაც ასე ირაზმება, ის თავს იყრის თავისი ერთგული პარტიების, ორგანიზაციების და მეთაურების გარეშემო. ვის შეუძლია ეს თვისება მას წაართვას? ვის ძალუძს მოკლას მისი სურვილი, მისი იდეალი, მისი სიყვარული კეთილის და სიძულვილი ბოროტების! მოსკოვმა მოსტაცა მრავალი მებრძოლი, ჩაუჩუმა მრავალი მეგობარი, გაუმწარა სვე-ბედი, მარა ვერ შეარყია მისი მორალი, მისი სული და გული.

აქ იჭედება ქართველი ხალხის თავისუფლება; მას ეძლევა საფუძველი მძლეთა მძლეველი. მას აართვეს ბატონობა, მარა ვერ აართვეს ნამუსი; მას მოსტაცეს თავისუფლება, მარა ვერ მოსტაცეს პატიოსნება.

და დღეს, როცა მტრის მზე ჩადის, როცა მისი გლოვის ზარი ირეკება, და დაშლილი, დასენიანებული დაბლა, უფსკრულისაკენ ეშვება, ქართველი ერი გაჯანსაღებული, გაწმენდილი, გამოწრთვნილი და ხელიხელ ჩაკიდებული უჭვრეტს ამ სანახაობას და იმედიანათ გაყურებს განთიადის მოახლოვებას. სიკვდილით სიკვდილი ითრგუნება.

უქმათ არ ჩაიარა ეს განწირული სულის კვეთება...

ნ. ჟორდანია.

## წარსული წელი.

გავიდა ძველი წელიწადი, დადგა ახალი, აზრი უნებლიედ უკან იხედება და ეძებს საიმედო მომენტებს, მაგრამ

რა გითხრათ? რითი გაამოთ?

---

საქართველო ისევ მტრების ხელშია. მას შემოარტყეს ირგვლივ რამოდენიმე ზღუდე. ერთი ზღუდეა «ამიერ კავკასიის კომუნისტური ფედერაცია». ჩვენ პრინციპიალურად ფედერაციის წინააღმდეგი კი არა ვართ, მაგრამ მხოლოდ ისეთი ფედერაციისა, რომელიც დამყარებულია თავისუფლებაზე, რომელიც აშენებულია ერთა თავისუფალ შეთანხმებაზე. ისეთი ფედერაცია, რომელმაც ახადა ერს ყოველი უფლება, მიისაკუთრა მისი ქონება, მართვა-გამგეობა მისი ცხოვრებისა მისდა დაუკითხავად. ასეთი ფედერაცია—საპყრობილეა.

მეორე ზღუდე გახლავს «სოვეტურ სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი». ეს ზღუდე უფრო მაღალია, უფრო გადაუვალი და უფრო საშინელი თავისი შინაარსით. ეს გახლავს ეხლანდელი რუსეთი და მისი კომუნისტური მექა—მოსკოვი. დედა-აზრი და ძირითადი მისწრაფება ამ კომუნისტური მექქისა არის რუსეთის ბრძანებლობის და გაბატონების გავრცელება ყველგან დედამიწის ზურგზე. ამისთვის უებარი წამალია—დაშლა ყველგან ეროვნული ცხოვრების, დაჭრა და დაქუცმაცება ეროვნული ტერიტორიის, გარყვნა ენის და ეროვნული კულტურის. ყველა ეს უბედურება დაატყდა საქართველოს.

რა გითხრათ? რითი გაამოთ?

---

მაგრამ დაშლა ეროვნული ცხოვრების, გარყვნა ეროვნული გულის და გონების, არც ისე ადვილია, როგორც ეს ჰგონიათ მოსკოვის ბნედიანებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერი კულტუროსანია, როცა მისი ხასიათი გამოჭედილია დიდი ხნის ბრძოლით და მისი სული ამაღლებული თავის უფლების და პატიოსნების შეგნებით. მართალია, ძალა აღმართსა ხნავს, მაგრამ აქ სახნისი არღვევს მხოლოდ მიწის ზედაპირს, აჰყრის მხოლოდ წვრილ-წვრილ ბელტებს, მაგრამ ვერ შეეხება მიწის წიაღს, იმ საიდუმლო სიღრმეს, საიდანაც ჰხეთქს ძალა და ნაყოფიერება. აგრე ხელ-დატანებით მოხნულ ნიადაგზე დათესილი «პრინციპები»—თუ «კომუნისტური მოძღვრებანი»—ტყუილად დაკარგული შრომაა. ნაყოფი არა სჩანს. იგი ხმებს და ქარს მიაქვს. ჯან-საღი ორგანიზმი ვერ იტანს შხამს: კუჭი ცდილობს უკან ამოაგდოს ის... და აი, მთელ საქართველოში ბოლშევიკები გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ იმას, თუ სად ხდება ეს გულის რევა. თუ შეგნიშნეს ეს სიმპტომი, თუ დაინახეს რომ თქვენ ცოტად მაინც შეგეხარათ წარბი ან ტუჩი შესახებ მათი მოქმედებისა ან მათი მართველობისა, ეს საკმარისია: თქვენ უკვე ხართ ჩაწერილი შავ სიაში. დღეს, თუ ხვალ უნდა მოელოდეთ თავდაცემას, დატუსაღებას, თრევას საშინელ ჯურღმულოებში, და ხშირად მოულოდნელ ტყვიას ზურგში...

რა გითხრათ? რითი გაამოთ?

---

გაიშლება ღამე. ნელი სიბნელე მოეხვევა მთებს, ჩაიშლება ხევში. აქა-იქ გაბრწყინდება, სოფლად და დაბად, პატარ-პატარა ფანჯრები... დარწმუნებული იყავით—მეუბნებოდა მე ეხლახან გამოქცეული საქართველოდან ახალგაზდა სტუდენტი—დარწმუნებული იყავით, ყოველ ქოხში, სადაც კი ჰგუზგუზებს პატარა კერა, ირგვლივ სხედან დიდი და პატარა, და ისმის ლაპარაკი თითქმის ერთი და იგივე. ისმის ბაასი ამა თუ იმ პირის გმირობაზე, ისმის მოთხრობა ამ თუ იმ შეტაკებაზე ხან რუსის ჯართან, ხან რუსის მოხელეებთან. თითქმის ყოველ სოფელს ჰყავს თავისი გმირი, თითქმის ყოველ კუთხეში არის ადგილი—ან ხევის ვიწრო ყელი, ან რომელიმე გორა, ან რომელიმე ტყის მოსახვევი—სადაც მომხდარა ეს შეტაკება, სადაც დაღვრილა სისხლი. წმიდაა ყველა ეს ადგილები. საფრანგეთში ამისთანა ადგილებზე აშენებენ ძეგლებს და მონუმენტებს. საქართველოში აშენებენ სხვა ძეგლებს, არა ხელოვნურს აშენებენ და ჰრთავენ სიყვარულის და მადლობის შუქით, ერის გულში, იმ საიდუმლო ზნეობრივ წიაღში, რომელსაც ვერ წვდება და ვერასოდეს მიწვდება ბინძური ხელი თავ-აგდებული უცხოელისა. გნებავთ დაინახოთ ეს ძეგლი? ყური დაუგდეთ იმ ხმას, რომელიც ისმის ხოლმე ყოველი კერის ირგვლივ, იმ ზღაპრებს, იმ ლეგენდებს, რომლის სფეროში უკვე გადავიდა გუშინდელი სინამდვილე და გადადის დღევანდელი შეურიგებელი ბრძოლა. საკვირველია და საიდუმლოებით სავსე ყოველი ნაბიჯი ისტორიისა. ისტორია—უშველებელი გიგანტია, რომლის ნაბიჯი იზომება საუკუნოებით. ამ ოცი საუკუნის წინეთ საქართველოს მებრძოლი ფრონტი მიქცეულ იყო სამხრეთისკენ, რომის იმპერიის წინააღმდეგ. ეხლანდელი მისი ფრონტი მიქცეულია ჩრდილოეთისკენ, რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. გაატარეთ პარალელი ამ ორ ხანას შუა, და თქვენ განცვიფრებული დარჩებით ბუნების საიდუმლოების წინაშე. განა იგივე სული არა ჰბერს ეხლა საქართველოში, სული გმირობის და თავგამოდებისა, რომელიც ჰბერდა და აცხოველებდა მის მშვენიერ მთა და ბარს ამ ოცი საუკუნის წინედ? ბევრმა, ბევრმა მამულიშვილმა გასწირა თავი, ბევრის და ბევრის სახელები ჩვენ არც კი ვიცით, მაგრამ მათი ლანდები შედიან ყოველ ქართველ ქოხში, და ირხევიან პატარა კერით განათებულ კედლებზე... ისმის ზღაპარი, ისმის ლეგენდა, და ამ ნამდვილ ეროვნულ ატმოსფერაში იზრდება ახალი თაობა, ნათლდება გული და გონება... მერე ვერა ჰხედავენ ამას ბოლშევიკები? არ იხდიან ქუდს და არ ეპყრობიან ამ მოვლენას შიშითა და პატივისცემით?!

რა გითხრათ? რითი გაამოთ?

---

პირ-იქით. სწორედ ამას ებრძვიან ბოლშევიკები და სწორედ აქ ჰმარცხდებიან იგინი. იმათთვის ადვილია დაჭერა და დახვრეტა ამ თუ იმ პირის, გადაწვა და განადგურება მთელი ოჯახის. მთელი სოფლის... მაგრამ როგორ უნდა შეებრძოლო ლანდებს? როგორ უნდა დაიჭირო ან დახვრიტო გმირების სახელები ან მოგონება გაღებულ სისხლისა? რა უნდა უყო თვით სიჩუმეს, რომელიც ჰღაღადებს საქართველოს უფლებაზე? ვინ არის ეს ხალხი, რომელიც დაფარფაშობენ საქართველოში, არ იცის არც მისი ენა, არც მისი გულის ნადები? რა უფლებით ჰმოქმედებენ?! ბოლშევიკები კარგად გრძნობენ მთელს სიყალბეს თავის მდგომარეობისა და ცდილობენ ყოველ ღონისძიებით,—დევნით, აწიოკებით, დახვრეტით და გადასახლებით,—განდევნონ საქართველოდან თვით ის ლანდები, რომლებიც მას აცხოველებენ და ზედ ეძცევიან დღე და ღამე. ამიტომ იჭერენ ხშირად ბევრს სრულებით უდანაშაულოს და მიყავთ ჩეკაში. აქ იწყება დაჭერილის ტანჯვა და წამება. იმას არაფერი ჩაუდენია, არაფერი უთქვამს, არაფერი გაუკეთებია, მაგრამ სახეზე შეეტყობა, რომ აქვს შეგნება ეროვნული უფლების და ეროვნული პატიოსნებისა. და ეს კმარა, ეს საშინელი ბრალდებაა. ამას ბოლშევიკები ეძახიან «კონტრ-რევოლიუციონერობას». მართლაც, ამისთანა შეგნება ხომ ეწინააღმდეგება მოსკოვის დოქტრინას და პოლიტიკას? აი. თუ ქაღალდზე ხელს მოაწერ და გამოუცხადებ, რომ შეცდომად მიგაჩნია «ბურჟუაზიული უფლება და პატიოსნება», თუ რუსეთის უხეშ იმპერიალიზმს შესწირავ შენს სამშობლოს და შენს სინიდისს, აი მაშინ შეიძლება გამოგიშონ... თუ არა-და, დამნაშავე ხარ. მოელოდე ტყვიას ზურგში, ან გადასახლებას სოლოვკიში...

რა გითხრათ? რითი გაამოთ?

---

ჩეკას ჯურღმულები სავსეა ტუსაღებით. ასობით მამულიშვილები იგზავნებიან სოლოვკიში და ციმბირში. ხშირად არა აქვთ საჭმელი, არა აქვთ თბილი ტანსაცმელი. დაცარიელებულ საქართველოში იჭრება ტალღა უცხოელების და ფეხს იკიდებს დაცარიელებულ ადგილებზე. შაჰ-აბაზმა მოსწყვიტა აღმოსავლეთ საქართველოს სამასი ათასი ქართველობა და გადაასახლა სპარსეთში, რომ დაემხო და დაესუსტებინა საქართველოს პოლიტიკური ძლიერება. კომუნისტურმა შემოქმედებამ ვერ გამოიგონა იმავე მიზნისათვის ახალი მეთოდი, მაგრამ მისცა შაჰ-აბაზის მეთოდს მეტი სიმკვეთრე და მოქნილობა: გადასახლება პატარ-პატარა ჯგუფებით და შემოსახლება უცხოელების აგრეთვე პატარ-პატარა ჯგუფებით. ამბობენ, სტალინი-ჯუღაშვილი ქართველიაო. ალბად ჩამომავალი უნდა იყოს იმ ქართველებისა, რომლებიც ერთ დროს ჰშველოდენ შაჰ-აბაზს. მაგრამ არიან სხვა ქართველებიც, არა ისე სახელ-განთქმული, როგორც სტალინი, მაგრამ ამოხეთქილნი ხალხის წიაღიდან; ეგენი მისდევენ უმწიკვლო ინსტიქტის ბრძანებას და ასრულებენ ისტორიის საიდუმლო დავალებას... რამდენი შეურიგებელი მებრძოლი იმალება კიდევ ტყე და მთებში, რამდენი თოფი იცლება კიდევ ყოველ დღე ქართლში და აფხაზეთში, კახეთში თუ აჭარაში, სადმე გზის პირად ან ტყის მოსახვევში, იქ ჩასაფრებულ მებრძოლთა მიერ?—«ჩვენ არ გვაქვს ზარბაზნები და ჰაეროპლანები, მეუბნებოდა იგივე სტუდენტი, ჩვენ არა გვაქვს ტყვიის მფრქვევლები და რადიო-ტელეფონები, მაგრამ გვაქვს მკლავი და გაბედულება. ქართველი ერის ნებისყოფა არ არის მოტეხილი და არც მოტყდება. ალესილ რკინას ვიშოვით ყოველთვის. თოფებს ავყრით თვით კომუნისტებს». და ბრძოლა წარმოებს...

რა გითხრათ? რითი გაამოთ?

---

ხშირად ჩვენ გვეცლება ნიადაგი—მეუბნებოდა იგივე სტუდენტი. მუდმივ ტყეში ყოფნა შეუძლებელია. თანაც ჩვენს პარტიზანულ ბრძოლას ხშირად მოსდევს პირდაპირ ველური რეპრესიები. ჰხოცვენ ბავშვებსაც კი. ამიტომ ზოგი ჩვენგანი თანდათან ვუახლოვდებით საზღვრებს, რომ გადმოვიდეთ აქეთ. აი, მეც აგრე გადმოვედი. ვიმალებოდი დღისით, მოვდიოდი ღამე, მეშინოდა კაცის, მეშინოდა მხეცის, მეშინოდა თვით გამცილებელის. ეშმაკმა იცის, ვინ არი? შეიძლება ჩეკისტიც იყოს. ჯერ ფულს აიღებს, მერე გაგცემს და ჩაგაბარებს მთავრობის აგენტებს». მართლაც საშინელებაა. არასოდეს არ ყოფილა საქართველო ისე მოწყვეტილი განათლებულ კაცობრიობას, პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად, როგორც ეხლაა. იგი მართლა ცხრა-კილტულშია. არასოდეს გენიალური ოცნება რუსთაველისა არ დაახლოვებია ისე სინამდვილეს და ნესტან-დარეჯანის სახე არ გამხდარა ასე სიმბოლო საქართველოსი...

გიორგი გვაზავა.

---

## გლოვა იმედით.

Vivos voco, mortuos plango!

ჩენი ქვეყნის აწიოკებისა და დამონების ექვსი წლის თავია! ეჭვი არ არის. ეხლაც მთელი ქართველობა იმავე გრძნობებითა და აზრებით გარდიხდის ამ დღეს. როგორც განვლილ წლებში. საპყრობილედ ქცეულს სამშობლოში პირშეკუმშულ ხალხს ვერ ძალუძს გადმოახეთქოს თვისი ნაღველი, და იდუმალი გულისნადები მოსდოს მთასა და ველსა, ქალაქსა და სოფელსა, ამცნოს დიდსა და პატარასა, მოყვარესა და მტერსა! მაგრამ იქნებ ეს სამარისებური სიჩუმე და გულში ჩათხრობა მოზღვავებული ფიქრებისა უფრო უმჯობესად გამოსახავდეს ერის ზრახვებს?!

ამ გლოვის დღეებში უფროსები მოგონებებს მიეცემიან: ბევრგან და ბევრგან მჭიდრო ოჯახებში დღეს კრძალულებითა და უზომო სიყვარულით პატივს დადებენ იმათ ხსოვნას, ვინც სამშობლოს დიდებას თავისი სიცოცხლე შესწირა! გაიხსენებენ იმ გმირთა-გმირებს, რომელთაც თავი დასდეს საქართველოს თავისუფლებისათვის მაშინ—1921 წლის სუსხიან თებერვლის დღეებში—და მათ სახელოვან მიმდევრებს, შემდგომ წლებში რომ ეკვთებოდნენ მტერს და იბრძოდნენ გაფთრებით თეთრი გიორგისათვის თალხის მოსახსნელად... აცრემლებულ თვალთა წინ დღეს განივლის აჩრდილთა წყება და თვითეული ასეთთაგანი იქნება მომთხრობელი პატივაყრილი საქართველოს ჭირისუფალთა შეფიცვისა გამარჯვებამდის ბრძოლისათვის!

ამ საზარელ დღეებში მთელს საქართველოში ყველგან უმცროსები კარებგადარაზულ სახლში მოისმენენ ერთსა და იმავე ამბავს, ერთსა და იმავე საგნის თაობაზე: თვალდაღებული პაწიები დღეს გაიგებენ, თუ როგორ იბრძოდა ერთი მუჭა ხალხი თავისუფლების შესანარჩუნებლად, როგორ მუხანათურად ჩამოცოცდა ჩრდილო მთებით ძველი მტერი, დღეს წითლებში გამოკაზმული! გაიგებენ იმასაც, რომ უცხო ჯარს უკან იუდასამებრ მოსჩანჩალებდა ათიოდე ნამუსაფხეკილი ქართველი, შესყიდული და დაქირავებული, და კიდევ უამბობენ მშობლები, რომ თავისუფლების წართმევას ქართველი ხალხი არ იტანს და ეს მას სჩვევია წინა საუკუნოებიდანვე, როცა ჩვენს ქვეყანას ბრძოლა უხდებოდა ასეთსავე მუხანათურსა და უპატიოსნო მტრებთან...

— დედავ, რათ გაცვია მუდამ შავი?

— ბებიავ, რათა ჰზმუი მთელი დღე?

— რატომ არ მეტყვი სადა მარხია მამა?

რამდენია ასეთი აკლებული და გავერანებული ოჯახი!! ვინ დასთვლის!! ან რათ გვინდა მათი აღნუსხვა?! განა მთელი საქართველო ერთიანი ოჯახი არ არის, ყველა ქართველის ჭირისუფალი და შურის მაძიებელი?! განა მთელი საქართველო ბითუმად არ დასტირის თვითეულ დაკარგულ შვილს?! ერთია ჩვენი ოჯახი, ერთი აზრით შედუღებული, ერთის გზით მიმავალი, ერთ მტერთან პირისპირ მდგომი!

მეექვსე წელიწადზე მტერი ჰფლობს ისევ იმ საქართველოს შეუდრეკელს, შეურიგებელს, ერთის ნებისყოფით ასულდგმულებულს! ამ ექვსი წლის მანძილზე მტერმა უუკიდურეს საშუალებებს მიჰმართა ქართველობის მოსალუნად, გარნა ვერას გაჰხდა, მან ეს ვერ შესძლო და ამიტომ გაშმაგებით მიჰყო ხელი ქვეყნის ნგრევასა და ხალხის უწყალო ჟლეტას!—ამანაც ვერ გასჭრა: ყველა ჯურის არამზადებთან ბრძოლაში ჩვენი ხალხი გამოიკაჟა... ბოლშევიკებს წინაპრები ჰყავთ:

«... მიერითგან იწყეს რბევად, ტყვევნად და მოოხრებად, წვად, სრვად და ტყვეობად... და მოოხრდა ქვეყანა [illegible] გარდაიქცა. ნაცვლად კაცთა მხეცნი... დაემკვიდრნეს, [illegible] ნა იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა [illegible] ლისთა, და შეუსწორებელი და აღმატებული [illegible] ფილთა, სმენილთა და გარდარეულთა ოხრებათასა, ხოლო წმინდანი ეკკლესიანი შექმნეს სახლი ჰუნეთა მათთა, ხოლო საკურთხეველნი ღვთისანი ადგილად არა წმინდებისა მათისა, და მღვდელნი რომელნიმე შეწირვასავე შინა საღმრთოსა მსხვერპლისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს, და სისხლნი მათნი აღრინეს მეუფისა თანა, და რომელნიმე მწარესა ტყვეობასა მიცემულ იქმნეს. მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკვეთებულ, ხოლო ჩჩვილნი მიმოტაცებულ... მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქვეყანისანი... ხოლო გზანი სიონისანი იგლოვენ არა ყოფისათვის მათზედა მედღესასწაულეთასა...»

მატიანე გრძელდება. აწინდელი თაობა ძველს, ნაცადს მაგალითებში ჰპოვებს გზებსა და საშუალებებს ხსნისათვის—

და არც მოსტყუვდება!

სიონისაკენ გზა კვლავ განიკაფება!

საქართველო აღსდგება:

«მაშინ ლხინი ამო არის, რა გადიხდის კაცი ჭირსა».

რ. ინგილო.

---

## კავკასიის ერების განთავისუფლებისათვის *)

კავკასიის ხალხების წამება გრძელდება. იმ დროს, როდესაც ევროპის დიდი და მძლავრი ერების წარმომადგენლები დიპლომატიურის ღიმილით ტუჩებზე სადარბაზოთ მიდიან რუსეთის დღევანდელ ბატონ-პატრონებთან; იმ დროს, როდესაც ისინი პროტესტს აცხადებენ თავიანთი კეთილი ნებისყოფით და პასიფიური სულით ამ ძალმომრეობის წინააღმდეგ,—ძალადობის სისტემა უფრო და უფრო მკაცრი ხდება, ციხეები ივსება, გადასახლებას გადასახლება მოსდევს, მასიური ხვრეტა გრძელდება.

ნუ თუ ეს წარმომადგენლები და მათი მთავრობები დარჩებიან ყრუდ? ნუ თუ ის კეთილშობილური გრძნობა, რომელმაც ერთ მომენტს იფეთქა, ჩაკვდება სხვა რაიმე ინტერესებით? ნუ თუ ჩაიკმიდება ხმა თვით ნაციათა ლიგის?

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის საშინელებანი, რომელსაც საბჭოები საქართველოში სჩადიან. «პრომეთეს» გაბედული და მშვენიერი მიმოხილვა, ამრავლებს მძიმე საბუთებს, ყოველ დღიურათ დაგროვილს მოსკოვის მოღვაწეებისა და იმათ წინააღმდეგ, რომელნიც, ინერციით თუ შიშით, არიან მონაწილენი ბოროტებისა, ვით პონტოელი პილატე.

მაგრამ დუმილია გამეფებული. ყველას თავები ჩამოუშვიათ. პირი მიუბრუნებიათ. არავინ, ოფიციალურ პირთა შორის, არ ამჟღავნებს თავის საზიზღრობას და საზოგადოებრივმა სინდისმა უნდა მოაგონოს მათ მათი დიდი მოვალეობა.

ნუ თუ პოლიტიკა—მხოლოდ უბრალო საქმიანობაა?

დიახ, ბატონებო, საქმიანობა—კარგია. მხოლოთ კარგია მაშინ, როცა მორალურია და სამართლიანი, და ამასთან სარგებლიანი.

თქვენ ეყრდნობით, თქვენ ანგარიშებში, ძლიერ რუსეთს, რომლის წინააღმდეგ თქვენ არ გსურთ იარაღით ბრძოლა, ზოგავთ რა ამ შემთხვევაში—და აქ ათასჯერ მართალი ხართ—მრავალ ადამიანის სიცოცხლეს. მაგრამ თქვენ ეყრდნობით აგრეთვე ნაკლებათ კეთილშობილ ინტერესებსაც. აღიარეთ ეს. სთქვით, თუ თქვენი კომერციული ანგარიში, უკეთ რომ ვსთქვათ, რუსეთის ბაზრის ხელახალი დაპყრობის და გასესხებული ფულების განაღდების იმედები არ გაიძულებთ აღმართოთ კედელი თქვენს ღრმა გრძნობას და ფინანსიურ მადას შორის? სთქვით, თუ თქვენი სიმპატია კავკასიისადმი დარჩებოდა ასევე პლატონიური იმ შემთხვევაში, რომ იქაურ სახელმწიფოთა კონფედერაციას შეეძლოს განკარგულება ნავთის, მადნების და ნაციონალური ტერიტორიის სხვა სიმდიდრისა?

ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ თუ გაათელვინეთ ამ ხალხების თავისუფლება, ამით არსებითად შეილახება თქვენი მომავალი? აღდგენილი კავკასიის კონფედერაცია იქნებოდა გარანტია ევროპის ეკონომიური განვითარებისთვის. უხვად დაჯილდოებული ბუნებრივი სიმდიდრით—სტატისტიკა ამას მოწმობს—ის ხელს შეუწყობდა დედამიწის ამ ნაწილის წარმატებას, რომ ის არ იყოს დაპყრობილი ბოლშევიკური იმპერიის მიერ. მისი სტრატეგიული და საზღვაო მდებარეობა ორ კონტინენტს შუა მას მისცემდა საშუალებას პოლიტიკური რეგულიატორის როლი ეთამაშა. როგორც რუმინია, პოლონეთი, ის იქნებოდა შემაჩერებელი რუსის ტალღისა. მისი მრეწველობა ცოტას ნიშნავს? განა ეს დამამტკიცებელი საბუთი არაა იმისთვის, რომ გაიხსნას მნიშვნელოვანი ბაზარი ყველა ქვეყნისათვის, და არ ჰქონდეს მხოლოდ ერთს ხელში, რომელიც სარგებლობს თავის შემოსავალს, რათა თვალები დაუბრმავოს იმათ, ვინც ატუზულან საბჭოების სალონების შესავალ კარებთან?

* *

კავკასიის კონფედერაცია სრულებით არაა მითი. რადგან თავის დროზე არ ქონდათ მჭიდრო ბლოკი—ამიტომ კავკასიის რესპუბლიკებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა. ისინი შეიქნენ, რიგ-რიგობით, მსხვერპლნი დენიკინის თეთრი ჯარების და მოსკოვის მთავრობის წითელის: აზერბეიჯანმა, სომხეთმა, საქართველომ და ჩრდილოეთ კავკასიამ დაინახეს, რომ არსებობა შეელახათ და შეკავშირება დაგვიანდა. მაგრამ ეს შეკავშირება მოხდება. ხშირად ტანჯვაში იჭედება დიდი ხასიათები, ყალიბდება ეროვნული სული. ამის მშვენიერ საბუთს იძლევა ჩეხოსლოვაკია (მოიგონეთ, როგორი გაკვირვებით შეხვდენ ზოგიერთები იმ აზრს, რომ ეს ხალხი შესძლებს იცხოვროს თავისუფლათ და იყოს ძლიერი). კავკასიის პოლიტიკური ორგანიზაციების მისწრაფებას, რომ შექმნან კავკასიის ერების კონფედერაცია, რეალური საფუძველი აქვს და არ არსებობს საბუთი, რომლის ძალითაც შეიძლებოდეს თქმა, რომ ისინი მიზანს ვერ მიაღწევენ.

ევროპამ გულმოდგინეთ უნდა ადევნოს თვალყური იმას, თუ რა ხდება კავკასიაში და არ უნდა დაივიწყოს დაპირებანი, რომელიც მისცა კავკასიის რესპუბლიკებს. აზერბეიჯანის და სომხეთის სუვერენობა ცნობილი იყო de facto, საქართველოს სუვერენობა კი de jure. ვფიქრობთ, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ხელმძღვანელებმა შეიგნეს მნიშვნელობა ქვეყნის, რომელიც დასახლებულია 12 მილ. მცხოვრებით და უაღრესათ მდიდარია, მათ შეიგნეს ფასი მისი ეკონომიური და

---

*) ეს წერილი დაიბეჭდა გასულ იანვრის თვეში მეთაურად შვეიცარიის საუკეთესო გაზეთ «journal de Genéve»-ში და გამოწვეულია ჟ. «პრომეთეს» გამოსვლით, რომელიც გამოდის ფრანგულად და ემსახურება კავკასიის ერების და უკრაინის განთავისუფლებას. მისი ავტორი ბ. შაპუიზა გაზეთის მთავარი რედაქტორია, დეპუტატი. პირველად მან უძღვნა საქართველოს მეთაური თავის გაზეთში 1919 წ. და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვერსალის კონფერენციის წევრებზე.

გეოგრაფიულ ნაციონალურ სწრაფვათა ერთობის. ნაციათა ლიგის მხურვალე კრებებზე ნეტარხსენებულმა ბრატინგმა, ბ.ბ. რამზეი მაკდონალდმა, ნანსენმა, პოლ-ბონკურმა, დე-ბრუკერმა აღნიშნეს საერთაშორისო ვალდებულება, რომელიც კაცობრიობას აწევს კისერზე. ლიგის საბჭო იყო მოწოდებული, არამც თუ თვალყური ადევნოს მოვლენებს მსოფლიოს ამ ნაწილში, არამედ, რაც შეეხება საქართველოს, დაევალა მას, ხელი ჩაკიდოს «შემთხვევებს, რომელთაც, შესაძლებელია, ექნეს ადგილი, და დაეხმაროს ამ ქვეყანას მშვიდობიანის საშუალებით და საერთაშორისო უფლების თანახმად, დაუბრუნდეს ნორმალურ მდგომარეობას».

როგორი იყო ამის შემდეგ ამ მხრივ ლიგის საბჭოს მოქმედება?

როგორი იყო ნაბიჯები მოსკოვის მთავრობასთან გადადგმული?

არც ერთი ღონისძიება მოსაზრებული, არც ერთი მოქმედება ენერგიული, ნებისყოფა გამოკვეთილი იმისთვის, რომ მოსკოვის მთავრობამ პატივი სცეს 7 მაისის 1920 წ. ხელშეკრულობას, რომლითაც მან იცნო საქართველო სუვერენულ სახელმწიფოთ, და იხსნან უკანასკნელი ბოლშევიკურ-იმპერიალიზმისაგან.

* *
*

რუსეთის გამარჯვებული მსვლელობა სამხრეთისაკენ აქამომდე ისტორიაში მიჩნეული იყო, როგორც ფატალური აუცილებლობა. ოსმალეთი და სპარსეთი აქ იყვნენ მსხვერპლნი და მათთან ერთად ის ქვეყნები, რომლებმაც იციან, თუ რას წარმოადგენენ ესენი მათთვის. ბუფერი ჩრდილოეთსა და სამხრეთ შორის შეაჩერებდა რუსეთის სვლას მცირე აზიისაკენ, ამავე დროს დაგვაშორებდა ბოლშევიზმს, ისე როგორც ომის ხიფათსაც. თვით ხვალინდელს რუსეთს ექნებოდა დამოკიდებულება სახელმწიფოსთან, რომელიც ხელს შეუწყობდა აღმოსავლეთის და დასავლეთის სულიერ და მატერიალურ დაახლოვებას. უკრაინა მისი 45 მილიონიანი მცხოვრებლებით სოლიდარულია კავკასიის რესპუბლიკებთან. ისიც მოითხოვს განთავისუფლებას.

ნაციათა ლიგა, მთავრობები, რომელთაც აღადგინეს კავშირი საბჭოებთან, არ გასტეხენ თავიანთ დიპლომატიურ სიტყვას, თუ უკანასკნელად კიდევ გააფრთხილებენ მოსკოვს შესაფერისი ჟესტებით,—რათა ჩვენს თაობას შეეძლოს პასუხი გასცეს მტკივნეულ კითხვას: «რა უყავ შენს ძმას?»

Ed. Ch.

## როგორ მუშაობენ ბოლშევიკების პროპაგანდისტები გერმანიაში?

უცხოელისათვის ძნელი გასაგებია ის მდგომარეობა, რომელშიდაც დღეს გერმანია იმყოფება. ეს იმიტომ, რომ მან არ იცის, რა გავლენა მოიპოვეს საბჭოებმა ნაციონალისტებზე, როგორ დააბრმავეს თავიანთი პოლიტიკით უკიდურესი მემარჯვენეთა ლიდერები. ბოლშევიკური ტალღა ევროპისაკენ 1919 წ. დაიმსხვრა გერმანიაში. ის აქ დაეჯახა სამ საწინაალმდეგო ძალას: 1) ოფიცრები, რომლებიც ეკუთვნოდენ ძველ ჯარს, გამოდგენ უფრო ძლიერნი, ვიდრე ბოლშევიკები; 2) საპარლამენტო დემოკრატიულმა ძალებმა, მათში სოციალისტებმაც, შექმნეს სახელმწიფო საწინააღმდეგოთ იმისა, რაც ხდებოდა რუსეთში. ამ დემოკრატიულ სახელმწიფოს დასაცავათ შეერთდენ ძველი ჯარის ოფიცრები და ყველა ჯურის დემოკრატები, დაივიწყეს რა საერთო ბოლშევიკური საშიშროების წინაშე თავიანთ შეხედულებათა სხვადასხვაობა. 3) კედელი, რომელიც პოლონეთის სახით აღიმართა ბოლშევიკური წითელი ჯარის წინაალმდეგ, მიუვალი შეიქნა უკანასკნელისათვის.

### სამგვარი მიზანი.

1919 და 1920 წ. წ. დამარცხებიდან ბოლშევიკებმა გამოიტანეს მეთოდიური დასკვნები. რაკი ვერ შესძლეს გერმანიის გასაბჭოება პირდაპირ აჯანყებით, შეუდგენ ამ მიზნის განხორციელებას არაპირდაპირი საშუალებებით. მათ აქვთ სამი მიზანი. იმათ სურთ: 1) ძირიან-ფესვიანათ ამოფხვრან ძველი ჯარის ოფიცრები და ის ახალგაზრდა ოფიცრები, რომლებიც აღიზარდენ ომის შემდეგ რეიხსვერში, ესე იგი გაანადგურონ პირველი იმ ფაქტორთაგანი, რამაც 1919 წ. მათ დამარცხება მოუტანა. 2) აღმოფხვრან აგრეთვე საპარლამენტო დემოკრატიული პარტიები, მათში სოციალისტებიც, რომლებმაც აგრეთვე გაიმარჯვეს მათზე 1919 წ. 3) გაარღვიონ კედელი, რომელიც პოლონეთის სახით მათ წინაალმდეგაა ამართული.

### დირექტივები.

საბჭოების გეგმები მე ვიცი ძლიერ სარწმუნო წყაროებიდან და არავითარი ეჭვი მათ შესახებ არ შეიძლება იყოს. მე ვიღებ სავსებით ჩემს თავზე პასუხისმგებლობას ჩემი ცნობებისათვის. აი უმთავრესი დირექტივები, რომლებიც მიცემულია აგენტებისათვის. 1) აამხედრეთ გერმანელი ნაციონალისტები საომრათ პოლონელების წინაალმდეგ. ამოირჩიეთ აგენტები გერმანელთა იმ წრეებში, რომელნიც ეკუთვნოდენ მაღალ საზოგადოებას და რომელიც გაღარიბდა ქაღალდის ფულის ზედმეტი გამოშვებით. აღუთქვით ნაციონალისტებს დახმარება წითელი ჯარის, რომლის სამხედრო ღირებულება უნდა იქნას გადამეტებულათ შეფასებული. ამტკიცეთ, რომ რუსის ჯარი უცდის ომს, რომ თავი იხსნას ბოლშევიზმისაგან და იქცეს რუსულ ნაციონალურ არმიად. გაუტეხეთ სახელი ყოველი საშუალებით რეიხსვერის ოფიცრებს. გაავრცელეთ ხმები, რომ საფრანგეთის ჯარში ღრმათაა ფეხგადგმული ბოლშევიზმი და, თუ ომი დაიწყო, ის დაიშლება დეზერტირობით. გასწიეთ პროპაგანდა გერმანელ ნაციონალისტებს შორის, რომლებიც ფიქრობენ, რომ ისინი უსამართლოთ არიან შევიწროებული ფრანგების და პოლონელების მიერ. 2) უნდა ატყდეს ომი გერმანიასა და პოლონეთს შორის მოხერხებული მანევრით, ხმების გავრცელებით, რომ პოლონეთი ემზადება საომრათ გერმანიის წინააღმდეგ და რომ გერმანელები თავის მხრით ამზადებენ აგრეთვე ომს პოლონელების წინაალმდეგ. უნდა იქნას გამოცხადებული გერმანიაში უკიდურეს ნაციონალისტების სამხედრო დიქტატურა, და ამ დიქტატურის მოვალეობა იქნება განადგურება გერმანიაში დემოკრატიული პარტიებისა და განსაკუთრებით სოციალისტებისა, რომლებიც ბოლშევიზმმა უკვე შემუსრა რუსეთში. ამგვარათ იქნება განადგურებული ერთი იმ ელემენტთაგანი, რომელიც წინაალუდგა მოხერხებულათ ბოლშევიზმს 1919 წ. ამ მომენტში საფრანგეთი და ინგლისი აუცილებლად გამოუცხადებენ ომს გერმანიას, რადგან მათთვის ყოვლად მიუღებელი იქნება გერმანიის კავშირი ბოლშევიზმთან—მათ მსოფლიო მტერთან. და მთელი ქვეყნის აზრი ამხედრებული იქნება გერმანიის წინააღმდეგ. 3) (უფრო ხელსაყრელი შემთხვევა მოსკოვისათვის) გერმანელები არღვევენ პოლონეთის კედელს და უერთდებიან წითელ ჯარებს. მეორე მხრით გერმანია იქნება დამარცხებული საფრანგეთის და მის მოკავშირეთა მიერ, რადგან მათ განკარგულებაშია უკეთესი სამხედრო ძალა, ვინემ რეიხსვერია. მაგრამ ფრანგები არ გასცილდებიან არავითარ შემთხვევაში ელბას, რომ არ შექმნან მეტად ფართო ფრონტი. ოფიცრები და გერმანელი პატრიოტები დაიღუპებიან უთანასწორო ბრძოლაში. ვინცკი გადარჩება, მათ გაქლეტს ხალხი, გაბოროტებული ახალი დამარცხებით. ამგვარათ აღმოფხვრილია ორი უკანასკნელი ელემენტი, რომელმაც დაამარცხა 1919 წ. ბოლშევიზმი. რაც შეეხება უკიდურეს ნაციონალისტებს, ისინიც იქნებიან აგრეთვე განადგურებული, როგორც პასუხისმგებელნი ომისათვის. 4) აი სწორეთ ამ დროს მოწვეულ იქნება «წითელ მებრძოლთა კავშირი», რომელიც ამოდენ ხანს იყო რეზერვში. ის იქნება გაძლიერებული ბოლშევიკური წითელი ჯარებით. მას ეხლა ველარავინ გაუწევს წინააღმდეგობას, რადგან სამი მოწინააღმდეგე ძალა 1919 და 1920 წ.წ. (დემოკრატიული პარტიები, ძველი ოფიცრები, პოლონეთი) იქნებიან განადგურებული. ფრთხილათ უნდა ადევნოთ თვალყური, რომ «წითელ მებრძოლთა კავშირის» წევრებმა ძლიერ ადრე არ გაიგონ შეთანხმება საბჭოებსა და ნაციონალისტებს შორის. 5) (ნაკლებ ხელსაყრელი შემთხვევა მოსკოვისათვის) გერმანელები ვერ შესძლებენ პოლონეთის კედლის გარღვევას. საფრანგეთი და მისი მოკავშირენი დაიკავებენ მთლათ გერმანიას. გერმანია ამ ახალი დამარცხების შემდეგ გახდება ობიექტი ხელახალ შეტევისა და დაქუცმაცებისაც. ახალი გაბოროტების სული გამეფდება ევროპაში, რაც შეუძლებელს გახდის ათი წლის განმავლობაში მაინც საერთო ფრონტის შექმნას ბოლშევიზმის წინაალმდეგ. გერმანია და პოლონეთი, გაპარტახებულნი ომისაგან, წარმოადგენენ მშვენიერ ნიადაგს ბოლშევიზაციისათვის, საბჭოთა რუსეთი კი იქნება დაცული ევროპის მხრივ და ხელები გაეხსნება აზიისაკენ.

არნოლდ რეხბერგ. *)

## დიდი და პატარა ერები.

ჩვენ გადაჭრით ევროპიულ კულტურის ორიენტაციისა ვართ. ამ ქვეყნად ცხოვრება იქ უკეთ არის მოწყობილი, სადაც ევროპიული წესია დამკვიდრებული. ევროპიულ მეთოდს მისდევენ. ევროპიული კულტურა არის, რაც მთელს კაცობრიობას შეუქმნია, რის წარმოშობაში მიუღია მონაწილეობა ყველა რასას, ყველა მოდგმას უძველეს დროიდან. ამ კულტურის მთავარი აკვნები იყო ქალდეა და ასურ-ბაბილონი. ეგვიპტე, მცირე აზია, საბერძნეთი, რომი, სპარსეთი, არაბეთი, ბიზანტია და ბოლოს მისი ცენტრი გადმოვიდა ახლანდელ ევროპაში. აქ თავი მოიყარა მთელი ქვეყნის ნამუშევარმა და მიახწია დღევანდელ განვითარებამდე ევროპიელ ერების მოღვაწეობით.

ამიტომ ვალდებულნი ვართ, რაც შეიძლება ფართოდ ვეზიაროთ ევროპის კულტურას, განვიმსჭვალოთ მისი ცოდნით და მუშაობის მეთოდით, რომ ამის საშუალებით ავამოძრაოთ ჩვენი შინაგანი ეროვნული ძალები, მძლავრად გავუშალოთ ფრთები ყოველს ჩვენს სულიერ შესაძლებლობას და უკეთესად მოვაწყოთ ჩვენი არსებობა.

ეს ასეა. მაგრამ დიდი წინდაუხედველობა იქნებოდა ჩვენის მხრით, ვიფიქროთ თითქოს დასავლეთის ცხოვრებაში დღეს ყველაფერი საუცხოვოთ იყოს მოწყობილი და მის კულტურას არავითარი ნაკლი არ ჰქონდეს. არა. ევროპასაც ბევრი რამ აკლია, ბევრი სიმახინჯე აქვს, ბევრი უდევს წინ გასაკეთებელი და შესაცვლელი. თუ ჩვენ ევროპიულ დაწინაურებაზე ვლაპარაკობთ, ეს ღირებულება, რასაკვირველია, შედარებითია, და უკეთესია, როცა სხვას ვუპირდაპირებთ.

გვინდა ამ წერილში ყურადღება მივაქციოთ ევროპის საზოგადოებრივობის ერთს ცუდს მხარეს, სახელდობრ დიდი და პატარა ერების არანორმალურ ურთიერთობას. ეროვნული საკითხი ევროპაში სულ მცირე გამონაკლისის გარდა ასე თუ ისე გადაჭრილია, მოწესრიგებულია. არის ორიოდე ერი, რომელნიც უცდიან თავის განთავისუფლებას (კატალონები, ბასკები), არის სასაზღვრო საკითხი შესასწორებელი ზოგიერთ ერებს შორის და ამის განხორციელება სულ ახლობელი მორიგი საქმეა. მაგრამ ევროპას დღეს სრულიად თავისუფალ და დამოუკიდებელი ერების საურთიერთო მდგომარეობა არ არის გამსჭვალული იმ თანასწორობის ღირსების შეგნებით, რომელსაც თავისთავად უნდა ჰგულისხმობდეს ეროვნული სუვერენობა.

მეცხრამეტე საუკუნეში მოხდა არა ერთი ამბავი დიდი სახელმწიფოს მიერ პატარა დამოუკიდებელი ერის აბუჩად აგდების, მისი ღირსების შელახვის და უფლების გათელვის. ყველას გვახსოვს დიდი ომის დასაწყისში გერმანიის ჯარმა როგორც უსირცხვილოთ გადაახია პატარა ბელგიას ნეიტრალობის ხელშეკრულობა და გადალახა მისი საზღვრები. საფიქრებელი იყო, რომ განვლილი ომის საშინელება და ერთა სუვერენობის პატივისცემის განცხადებანი, რომელნიც საქვეყნოთ იყო გაკეთებული, შესცვლიდნენ წინანდელს ვითარებას და დღეს მეტის ყურადღებით მოეპყრობოდნენ ყოველს ერს, რაც უნდა პატარა იყოს ის.

სამწუხაროთ ამ მხრივ თითქმის ვერავითარს ცვლილებას ვერ ვხედავთ. არიან დიდი ერები და არიან პატარა ერები. მორალურად მათ შორის არავითარი განსხვავება არ უნდა არსებობდეს. სიმრავლე თავისთავად არ აძლევს ღირსებას ერს და ჩვენი გაზეთის ფურცლებზედაც იყო აღნიშნული უპირატესობანი, რომელთაც იჩენენ პატარა ერები ბევრს დარგში. მაგრამ დღეს ერთა ლიგის არსებობის და მშვიდობიან მისწრაფების ხანაშიც საერთაშორისო სასწორზე მთავარ გავლენას ახდენს ფიზიკური ძალა, მატერიალური ღონე—რიცხვი. თქვენს სიმართლეს, თქვენს ღირსებას იმდენად სცემენ პატივს, რამდენად ძლიერი ხართ და თქვენი უფლების უკან მაგარი მუშტი დგას.

დაარსდა ერთა ლიგა მაღალის დანიშნულებით, რომ დაამყაროს ერებს შორის თანხმობა, სამართალი, თანასწორობა, ურთიერთის პატივი. უეჭველია მომავალში ეს მიზანი მიღწეული იქნება, უამისობა შეუძლებელია. კაცობრიობა მთლად უნდა მოისპოს, მისი კულტურა დაიმსხვრეს ან და ერები და სახელმწიფოები უნდა დაადგენ მორიგების გზას და გამონახონ ურთიერთ დავის და უთანხმოების გადასაწყვეტად სხვა საშუალება, ვიდრე დღემდის იყო—უნდა განიმსჭვალონ ერთმანეთის პატივისცემით, დაუთმონ ერთიმეორეს და შეთანხმებულად იმოქმედონ ცხოვრების სიმძიმის დასაძლევად. მომავალი ეკუთვნის ერთა სოლიდარობას და კავშირს. ერთა ლიგა ამის პირველი ჩანასახია და მისი ფართო განვითარება და გაძლიერება ყველა ქვეყნის საუკეთესო მოაზროვნეთა და მოღვაწეთა გულითადი მისწრაფებაა.

სამწუხაროთ დღეს დღეობით ერთა ლიგის შემადგენლობა და ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერა დგას სასურველ ნიადაგზე—ჯერ კიდევ ბატონობს იქ ძველი ტრადიცია და არაა სრული შეგნება ერების თანასწორობის. ლიგის საბჭოში თუ საერთო კრებებზე საქმის გადამწყვეტნი არიან უმთავრესად დიდი ერები. პატარებს თითქმის არაფერს ეკითხებიან, ანგარიშს არ უწევენ სათანადოთ, ყურადღებას არ აპყრობენ. როცა საქმე ეხება დიდი სახელმწიფოს დანაშაულს ერთა ლიგის წესდების წინაშე, ლიგა მორიდებით ეპყრობა დამნაშავეს (იტალიის საბერძნეთის საქმე), ხოლო თუ შემცოდე პატარა სახელმწიფოა, ლიგა გამბედავი და რიხიანია (ბულგარეთ-საბერძნეთის საქმე). ასეთი მოვლენები მეტად ამცირებს ლიგის გავლენას და საჭიროა ამის მალე გამოსწორება.

ლიგა ლიგაა და მისგან დღეს მეტს არც უნდა მოველოდეთ, გვეტყვიან და მიგვითითებენ მის აწინდელ აგებულობაზე, მის სინორჩეზე. მაგრამ არის მეორე საერთაშორისო კავშირი, სოციალისტური ინტერნაციონალი, რომელიც უფრო დემოკრატიულია და უფრო მოტრფიალე თავისუფლების და თანასწორობის. კარგად გვესმის ინტერნაციონალის ღრმა პატივისცემა ერთა განთავისუფლებისადმი, მისი უანგარო თავგამოდებული მუშაობა ამ საქმისათვის. დიდად ვაფასებთ იმ მხურვალე მონაწილეობას, რომელსაც იჩენენ ჩვენი საკითხის დაცვაში ინტერნაციონალის წევრები—ჩვენი საუკეთესო მეგობრები მათ შორის არიან. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ეროვნული სუვერენობის და ერთა სრული თანასწორობის იდეა აქაც არაა ისე დამკვიდრებული, როგორც უნდა მოველოდეთ. ძველს შეხედულობას აქაცა აქვს გასავალი ხანდახან და დიდი ერების წარმომადგენლები ბატონობას იჩენენ. ეს ასე არ უნდა იყოს.

საჭიროა ბრძოლა, საჭიროა მხნე მუშაობა და ფართო პროპაგანდა, რათა პატარა ერებს მიენიჭოთ საერთაშორისო ურთიერთობაში ფაქტიური თავისუფლება და მათი ღირსება ისევე იქნეს დაცული, როგორც დიდი ერებისა. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, ვიდრე საერთო გაჯანსაღება მოხდებოდეს, რომ პატარა ერებმა ერთგვარი კავშირი შეკრან და სოლიდარულად იმოქმედონ საერთაშორისო გამოსვლების დროს—ეს გაუადვილებდა მათ უფლებების დაცვას. თუ დღევანდელ პირობებში დიდს სახელმწიფოებსაც კი სასარგებლოთ მიაჩნიათ ერთმანეთთან შეკავშირება ამა თუ იმ მიზნისთვის, მით უფრო ესაჭიროებათ ეს პატარა სახელმწიფოებს.

ს. ფირცხალავა.

## უცხოეთის მიმოხილვა.

### ლოკარნოს გზით.

შეთანხმება მიღწეულ იქნა პარიზში სწორეთ იმ კითხვაზე, რომელმაც კინაღამ ჩაფუშა ლოკარნოს მიღწევანი, ჟენევაში, გასულ დეკემბერს. როგორც გახსოვთ, იქ, ერთა ლიგის საბჭოში, დაობდენ იმის თაობაზე, მოიხსნას თუ არა მოკავშირეთა სამხედრო კონტროლი გერმანიაში, დაწესებული ვერსალის ზავის მიერ. პრინციპიალურათ თითქოს არავინ იყო მოხსნის წინააღმდეგ: ყველა გრძნობდა, რომ ლოკარნოს შემდეგ ფსიქოლოგიურათ შეუძლებელი იყო კიდევ განეგრძოთ უცხოელ ოფიცრებს ჩხრეკა-ძიება გერმანიაში მის განიარაღების შესახებ, მხოლოდ ამას ელობებოდა წინ ერთი ფორმალური დაბრკოლება. საჭირო იყო, პარიზის ელჩთა კონფერენციას წინასწარ დაედგინა, რომ გერმანიამ შეასრულა განიარაღების პირობები. ეს კი ვერ მოხერხდა, რადგან სამხედრო სპეციალისტებმა, მარშალ ფოშის თავმჯდომარეობით, განაცხადეს, რომ გერმანიამ ასზე მეტი პირობა შეასრულა, მაგრამ ორი კიდევ დარჩაო: ა) ახალი სიმაგრეები ააშენა პოლონეთის საზღვარზედ და ბ) ლითონის ფაბრიკატები გააქვს უცხოეთში და იქ იარაღად კეთდებაო. ჟენევაში კომპრომისი გამონახეს: კონტროლი იხსნება 31 იანვარს გერმანიაში, ხოლო უკანასკნელი მანამდის ახალ წინადადებებს წარუდგენს ელჩთა კონფერენციას. აი, ეს მოხდა კიდეც, მთელი თვე ივაჭრეს, ჯიუტობაც იყო ორთავე მხრით და ვადის მეორე დღეს, 1 თებერვალს, მაინც მოაწერეს ხელი შეთანხმებას. აქაც კომპრომისმა გასჭრა: გერმანიას არ ევალება მთლათ დაანგრიოს, რაც აუშენებია პოლონეთის საზღვარზედ, თავდაცვის სიმაგრენი უვნებლათ დარჩება, აგრეთვე მას არ აეკრძალება ყოველგვარ ლითონის ფაბრიკატების გატანა უცხოეთში. მართალია, სამხედრო კომისია არსდება, მაგრამ მას ნიშნავს ერთა ლიგა და გზავნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს დაინტერესებული სახელმწიფო და როცა ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია საბჭოს მიერ, აქ კი გერმანიაც ხომ წევრია.

ფრიად საყურადღებოა, რომ ამ შეთანხმებაზე წავიდა გერმანიის ახალი მთავრობა, რომელშიც მემარჯვენენიც შედიან. ესენი ხომ ანტივერსალისტები და ანტილოკარნისტები იყვნენ! როგორც იცით, კანცლერ მარქსის პარტიამ, ცენტრმა, სამი პირობა წაუყენა მემარჯვენეთ კაბინეტში მონაწილეობისათვის: ა) ვაიმარის კონსტიტუციის ცნობა, ბ) ლოკარნოს გზით სვლა და გ) რევანშზე ხელის აღება. მემარჯვენეთ მიიღეს ეს პირობები, განცხადებაც გააკეთეს რაიხსტაგში, თუმცა ნაწილათ მიკიბულ-მოკიბული. ჩვენ არ ვეხებით იმას, რამდენათ ხანგრძლივია «ბურჟუაზიული კოალიცია», რამდენათ რეალურია მონარქისტული გადატრიალების შიში იქ; ხაზ-გასასმელია მხოლოდ ის უტყუარი ფაქტი, რომ ყველაზე შეურიგებელი ნაწილიც გერმანიის პოლიტიკურ წრეებისა ლოკარნოს გზაზე დგება. თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამას, კარგათ გრძნობენ მოსკოვში. მას გამოეცალა უკანასკნელი დასაბჯინებელიც ევროპაში. ეს უდრის ერთი არმიის განადგურებას იმ ომში, რომელსაც მოსკოვი ეწევა...

### ამერიკანიზმი.

ეს სიტყვა ცნობილია, როგორც უმაღლეს ტეხნიკისა და სისწრაფის მომასწავებელი. შეერთებული შტატები საგარეო პოლიტიკაშიც ამ თვისებებს იჩენს. მისი გავლენა მსოფლიოში პირველ-ხარისხოვანია, ევროპა ქედს იხრის მისი ჯიბის, შორეული აღმოსავლეთი—მისი ფლოტის წინაშე. მაგრამ ეს სიძლიერე მას არ აკმაყოფილებს, საჭიროა, მისი აზრით, ტერიტორიალური გაგანიერებაც. მართალია, ეს მას არ ესაჭიროება, მონროეს ლოზუნგი: «ამერიკა ამერიკელებისთვის» არასდროს არ ყოფილა ისე უზრუნველყოფილი, ამერიკას არავინ ემუქრება და იქ შეერთებულ შტატების ჰეგემონია დიდი ხანია ცნობილია ლათინთა რესპუბლიკების მიერაც.

მაშ რად დასჭირდა კულიჯის მთავრობას ნიკარაგუას რესპუბლიკაში დესანტის გადასხმა და მთელი ერთი კუთხის ოკუპაცია? ჩვენ ვერ დავეყრდნობით ვაშინგტონის ოფიციოზს, ვითომ ეს გამოეწვიოს შეერთებულ შტატების მოქალაქეთა საშიშ მდგომარეობაში ჩავარდნას. მართალია, ნიკარაგუაში სამოქალაქო ომია, აჯანყებული ლიბერალები ებრძვიან კონსერვატორებს, მაგრამ შეერთებულ შტატების წყენინებაზე ჯერ არაფერი გამოქვეყნებულა. ვაშინგტონის ნამდვილი მოტივი ის არის, რომ მას სურს ნიკარაგუა თავის პროტექტორატის ქვეშ დააყენოს და შემდეგ მეორე არხი გათხაროს ატლანტიდან დიდ ოკეანემდის. კონსერვატორები მზათ არიან შეასრულონ ვაშინგტონის კარნახი, ამიტომაც დახმარებას იღებენ მისგან.

ლიბერალებს მექსიკა ეხმარება, მაგრამ იარაღით და არა ჯარით. მექსიკა ლამობს თავის თავის დაცვას, რადგან იცის, რომ, თუ შეერთებული შტატები მის სამხრეთით მეორე ხაზითაც შეიჭრა, მაშინ თვითონაც უნდა დაიდგას მისი უღელი. პირველი ხაზი პანამა იყო, არხი და თვით რესპუბლიკა უკვე ვაშინგტონის განკარგულებაშია. მექსიკაში შეერთებულ შტა-

*) ავტორი ტომით გერმანელია, მრეწველი, დიდი მომხრე საფრანგეთი-გერმანიის დაახლოვების. აქ გადმოთარგმნილი წერილი დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთ «Matin»-ში.

ტებს ნაფთის ინტერესი აქვს და აქ მას არ დაერიდენ და მიწის ქვეშ არსებული სიმდიდრენი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს. ამ ზომას კულიჯის საგარეო მინისტრი მოსკოვის გავლენას აწერს. მექსიკაში ელჩად ქ-ნი კოლონტაი არის, მაშასადამე, საბუთიც ცხადია! როგორც ხედავთ, ბოლშევიზმი საფრთხობელად არის ქცეული და მას ხშირათ სარგებლობენ ძლიერნი, როგორც ოდესმე «თეთრ ეშმაკს» ჩინეთში.

არის განსხვავებაც. შეერთებული შტატები ისეთი ძლიერია, რომ მას არ გაუჭირდებოდა იარაღით მიღწევა, რასაც ის დიპლომატიით ლამობს. მაგრამ აქ მას აფერხებს ერთგვარი ზრუნვა რეპუტაციისათვის. საზოგადო აზრი უკვე გრძნობს ამას, სენატში ბორას ხმა გაისმის, პროფესორები მანიფესტს აქვეყნებენ... და იმედი აქვთ, ყველაფერი უსისხლოთ დამთავრდებაო, რადგან დოლარი მაინც თავისას გაიტანს...

## საქართველო და ინტერნაციონალი.

11 და 12 თებერვალს პარიზში გაიმართა მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის ეგზეკუტივის სხდომები. მის წესრიგში პირველი ადგილი ეჭირა კითხვას ომის საშიშროებაზე, ჩინეთსა, ცენტრალურ ამერიკასა დე ბალკანეთში არსებულ გართულებებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ჩინელ დელეგატის იან კანტაოს გამოსვლა ვრცელი მოხსენებით, რომლითაც მან გააცნო დამსწრეთ ჩინეთის ნაციონალური მოძრაობა. მან აღნიშნა, რომ კანტონელთა პარტია კუომინ-ტანში სამი მიმდინარეობა ებრძვის ერთმანეთს ტაქტიკის მხრივ: მემარჯვნე, რომელიც შესდგება შეძლებულ წრეებიდან და გაურბის რევოლიუციურ ზომებს, მემარცხნე, ძალიან მცირე ჯგუფი, რომელიც მოსკოვის გავლენის ქვეშ იმყოფება და მის პროვაკაციულ ზომებს იზიარებს; ცენტრი, დიდი უმრავლესობა, რომლის ხაზი და მეთოდები დემოკრატიულია. მომხსენებელი ფიქრობს, რომ ცენტრი გაიმარჯვებს ბოლოს და ბოლოს, და, თუ დღეს ის კიდევ არ ამჟღავნებს ტაქტიკური მოსაზრებით, თავის მტრულ განწყობილებას მოსკოვისადმი, სრულიად უეჭველია, რომ გამარჯვების მეორე დღეს ის ზურგს შექცევს მას.

ეგზეკუტივმა სპეციალური რეზოლიუცია მიიღო დემოკრატიის დასაცავათ და პოლიტიკურ დევნის წინააღმდეგ ევროპიულ მასშტაბში, სადაც, სხ. შორ., ამბობს: მ. ს. ინტერნაციონალის ბრძოლას რეაქციულ ჩაგვრა-დევნის წინააღმდეგ წინ ეღობება უდიდესი დაბრკოლება იმ ფაქტით, რომ სისტემა ტერორისა გრძელდება უცვლელათ საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით საქართველოში, და მიმართულია იმისკენ, რომ მუდმივ წყობილებად იქცეს». ეგზეკუტივი სასტიკათ გმობს ამ ძალმომრეობას, განსაკუთრებით პოლიტიკურთა წამება-ტანჯვას და მათ სოლოვკაში გზავნას. იგი მოუწოდებს ყველა სექციებს ისარგებლონ ყოველ შემთხვევით, რათა დაეხმარონ პოლიტიკურ ტყვეთ, მოითხოვონ ამნისტია მათთვის და ხელი შეუწყონ ტერორის რეჟიმის დამხობას საბჭოთა კავშირში.

ამას გარდა, ეგზეკუტივი იღებს ინგლისელ დელეგატ ბროკვეის შემდეგ წინადადებას: «მ. ს. ინტერნაციონალის ეგზეკუტივი ირჩევს საანკეტო კომისიას პოლიტიკურ ტყვეთა მდგომარეობის გამოსარკვევათ. ის მოსთხოვს ცნობებს ყველა პარტიებს იმ ქვეყნებისას, რომელთაც იგი ეხება. რაც შეეხება რუსეთს და საქართველოს, კომისია ეცდება მიიღოს ცნობები პირველ ხელიდან, თვით ამ ქვეყნებში».

როგორც ხედავთ, მოყვანილ რეზოლიუციასა და წინადადებაში ნათლათ სჩანს საქართველოდან ამას წინათ მოსულ ინფორმაციის გავლენა. ინტერნაციონალი არას დროს არ ივიწყებს, საქართველო ცალკე აღნიშნოს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იქ გაბატონებულ მტარვალობას; სოლოვკაც და ანკეტაც ხომ იმავე წყაროდანაა. ჩვენ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ საქ. ს. დ. დელეგატ ირ. წერეთელის დიდი დამსახურება ამ საქმეში. ჩვენ ვიცით, მართალია, რომ მოსკოვი არ დაუშვებს პირუთვნელ ანკეტას ადგილობრივ, მაგრამ მას ხომ თანდაყოლილი აქვს ქურდულათ ხალხის წამება-ჟლეტა და ამის დღის სინათლეზე გამოტანის შიში.

## პრესა «პრომეთე»-ეს შესახებ.

მოსკოვს ყელში გაერჭო ფრანგული ჟურნალი «პრომეთე». მას ვერ მოუნელებია, რომ აღმოჩნდა წრე, რომელმაც იკისრა ეგრ. წოდ. «სოციალისტურ კავშირში» ჩაგრულ ერთა დაცვის საქმე ევროპის საზოგადო აზრის წინაშე. ბნედიანი ბუხარინი იმდენათ დაუფეთებია ხსენებულ ჟურნალს, რომ მას აწერს რუსეთზე ახალ ინტერვენციის განზრახვებს, იმდენათ დიდათ აფასებს ალბათ მის გავლენას დიდ სახელმწიფოების მეთაურებზე! «საქმე მივიდა იქამდის»—მოჰყავს 13 იანვრის მოსკოვის «იზვესტიას» მისი სიტყვები—«რომ ქართველმა მენშევიკებმა ახლათ დააყენეს აჯანყების კითხვა საქართველოში და დადებითათ გადასჭრეს იგიო». ცხადია, პროვოკაციის სუნი ტრიალებს კრემლში. სასოწარკვეთილნი, კედელზე მიყუდებულნი, ისინი ეძებენ გამოსავალს თავიანთ სისხლიან მტარვალობის გადასარჩენათ. ამისათვის ისინი არ დაერიდებიან თვით მოსკოვის მეორეხელ გადაწვას, არა თუ საქართველოს აწიოკებას. ქართველი ერი, მისი ხელმძღვანელნი ფხიზლათ უნდა იდგენ დარაჯად, რომ საკადრისი ზიზღით შეხვდენ ბნედიანის პროვოკაციას.

* * *

მაგრამ არც სტრუვეს «ვოზროჟდენიე» ისვენებს. იქ მოკალათებულა ჩვენში კარგათ ცნობილი იული სემიონოვი, და დღე ისე არ გაივლის, რომ ის არ დაებდღვნას იმავე «პრომეთე»-ს. მაგრამ მისი უბედურება იმაშია, რომ რუსული პოლემიკა ფრანგულ ორგანოს მიმართ სრულიად უყურადღებოთ რჩება უკანასკნელის მკითხველებს და ხმალი წყალში უვარდება. ის ერთ თავის წერილს სათაურად «პატარა კაცები და დიდი საქმეები» უკეთებს, სჩანს, თავის თავი დიდ კაცად მოაქვს! საუბედუროთ, ჩვენშიც მიაჩნდათ ის ვინმედ ერთ დროს და ამისთვის აირჩიეს ამიერ-კავკასიის სეიმში. ამ რიგათ, «რჩეული» რუსიც რჩეული მატრაკვეცი აღმოჩნდა, სხვებს აბა რაღა უნდა გაუმტყუნოთ.

* * *

რა თქმა უნდა, უცხოეთის პრესის გამოძახილი არა ჰგავს ზევით აღნიშნულთ. «პრომეთე» იმსახურებს მის ყურადღებას და სიმპატიას. სანიმუშოთ ერთი ცნობილ გაზეთის მეთაური კიდეც მოგვყავს ამ ნომერში.

## წერილი აჭარიდან.

ბოლშევიკების ბატონობის გამო რომ მთელი საქართველო ჯოჯოხეთურ პირობებშია, ეს ქვეყანამ იცის, მაგრამ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო ერთხანს ერთი კუთხე, სახელდობრ აჭარა. ბოლშევიკებმა შემოსვლისთანავე სამუსულმანო საქართველო «აჭარისტანის რესპუბლიკათ» გამოაცხადეს. დაუწყეს ხალხს ფარისევლური მოფერება, დაჰპირდენ გაბედნიერებას და გაკეთებას.

პირველი დღიდანვე შეუდგენ პროვაკაციულ მუშაობას, რათა ქართველი მუსულმანები გადაემტერებიათ ქრისტიან ქართველებზე და ამით დაექუცმაცებიათ და დაეუძლურებიათ საქართველო, როგორც მთლიანი ერთეული. ბევრი მტრობა და შუღლი დასთესეს ამ მხრივ, მაგრამ საბედნიეროდ ბოლშევიკების ამ წმინდა რუსულმა პოლიტიკამ ნაყოფი ვერ გამოიღო. სხვათა შორის აჭარაში ხალხს ისე ჩააგონეს, რომ თუ კი რაიმე ნაკლი აქვს ბოლშევიკების მუშაობას «აჭარისტანში», ეს ყველა ტფილისის «მთავრობის» ბრალია (მიუხედავათ, იმისა რომ ტფილისშიც ბოლშევიკური მთავრობაა), თორემ მოსკოვი არაფერს ზოგავს აჭარისათვისო. ასეთი ოინებით მოინდომეს ხალხის გაბრიყვება და მომადლიერება. როცა დაიწყეს სარწმუნოების საწინააღმდეგო კომპანია და ჩვენ თვალწინ ანგრევდენ ეკლესიებს და სდევნიდენ სამღვდელოებას, ჩვენთვის, ქართველი მუსულმანობისთვის ხელი არ უხლიათ. პირიქით, იყო შემთხვევები, როცა ჯამეზე მოგროვილ ხალხს ოფიციალურად მთავრობის სახელით უცხადებდენ: «კარგათ შეინახეთ რამაზანი (მარხვა) და სადღესასწაულოთ დაგირიგებთ პურის ფქვილს, შაქარს და ბრინჯსაო. ვისაცკი შეუტყობთ, რომ რამაზანი გასტეხა, დავატუსაღებთო».

ბოლშევიკების ასეთმა განცხადებამ ხალხი ძლიერ გაახარა და თან გააკვირვა. ბევრი ხალხი მოიმადლიერეს ასეთი საქციელით და ჩაითრიეს კიდეც. ეს იყო პირველი თაფლის თვეები, მაგრამ განვლო დრომ და ბოლშევიკებმა ნელნელა შესცვალეს ლმობიერების და მოფერების პოლიტიკა.

პირველ ხანებში მოხუცებს თუ საჩუქრებს ურიგებდენ გულმოდგინე მარხვა-ლოცვისათვის, შემდეგ ნელნელა მათი უწლოვანი შვილები კომსომოლაში შეიტყუეს და დღედაღამ სჯულის და ღმერთის წინააღმდეგ უქადაგებდენ და ასწავლიდენ.

მიუხედავათ იმისა, რომ აჭარაში ბევრი მოიპოვება გავლენიანი პირი, ბოლშევიკები «აჭარისტანის სახალხო კომისრებათ» უმეტეს შემთხვევაში სახელ გატეხილ და ცუდი წარსულის ხალხს ნიშნავენ.

კომისრები ხშირად ძველი ნასტრაჟნიკალია ან სისხლის სამართლის დანაშაულობისთვის ციხეში ან გადასახლებაში ნამყოფი.

ხალხი თანდათანობით გაერკვა და მიხვდა, თუ რას წარმოადგენს ბოლშევიკური რეჟიმი. ისიც კარგათ გაიგო, რომ «აჭარისტანის რესპუბლიკა» თვალმაქცობაა და ზღაპარი. და ნამდვილად კი რუსების განუსაზღვრელი ბატონობაა. ბათომის და ტფილისის სახალხო კომისრები ეს მოსკოვის პატარა ფინიებია და გულმოდგინეთ რუსულ ჩექმას ლოკავენ. ეშინიათ და კანკალობენ, რომ სამსახურიდან არ იქნენ დათხოვნილი. ყოველ ფეხის გადადგმაზე სიყალბე, ხალხის წვალება და გაღლეტა და სიღატაკეა გამეფებული, მაგრამ ვის შეუძლია, ხმა დაძრას იქ, სადაც სამართალის მაგიერ ჩეკის უსამართლობაა გაბატონებული.

ბოლშევიკების უკუღმართმა პოლიტიკამ თანდათან გაღარიბა აჭარელი გლეხობა, გააძვირა ცხოვრება და სრულიად მოსპო საშუალება რაიმეს შეძენისა და ნორმალურ ალებმიცემობისა. ამ აუტანელმა ეკონომიურმა პირობებმა ხალხი აიძულა დაეწყო ვაჭრობა კონდრაბანდის საქონლითა. აჭარელი გლეხი მიდის ოსმალეთის საზღვარზე, ყიდულობს იქ ევროპის ნაწარმოებ საქონელს და შეაქვს ბათომში. კონდრაბანდით ვაჭრობამ მასიური ხასიათი მიიღო. ბოლშევიკები დიდი სისასტიკით ებრძვიან კონდრაბანდისტებს, მაგრამ ვერაფერს გახდენ. ხშირად ხდება საზღვრების ახლო-მახლო შეტაკება რუსის სანაპირო ჯარსა და კონდრაბანდისტებს შორის. ხშირია შემთხვევები დიდი შეტაკებების და ნამდვიბრძოლის გაჩაღების. ბრძოლაში ხშირად 50-60 შეიარაღებული კონდრაბანდისტი და ამდენივე ან მეტი რუსის ჯარი ღებულობს მონაწილეობას. შეტაკების შედეგია: დაჭრილი, მოკლული და ტყვეთ წაყვანილი.

აჭარელ გლეხს კონდრაბანდა შეაქვს ბათომში და შემდეგ ათასგვარი ხალხის ხელში გადადის საქონელი. კონდრაბანდით ვაჭრობენ: საბჭოთა მოსამსახურეები, კომუნისტები, ჩეკისტები, ქალი, ბავშვი, დიდი და პატარა. ბათომიდან კონდრაბანდის გატანა ძლიერ ძნელი საქმეა, რადგან ყველა ბათომიდან გამავალი მატარებელი სასტიკათ იჩხრიკება. ამიტომ როცა მოსკოვიდან ჩამოსულ სპეკულიანტს სურს დიდი და ძვირფასი საქონელი გაიტანოს, ის უთანხმდება ჩეკის მოხელეს, აძლევს განსაზღვრულ ქრთამს და საქონელიც მშვიდობით მიაქვს მოსკოვში. ერთი სიტყვით ადმინისტრაციის უმეტესობა ჩუმათ კონტრაბანდით ვაჭრობს. არის შემთვევები, როცა «აჭარისტანის» სახალხო კომისრებიც იღებენ კონდრაბანდით ვაჭრობაში მონაწილეობას, რასაკვირველია სახაზინო ფულით. გადასახლებულია, ჩეკაში და ციხეებში ყრია აუარაბელი უპარტიო ხალხი და ღარიბი გლეხობა, მაგრამ ჩეკისტებს და კომისრებს არავინ არაფერს ეუბნებოდა.

ხალხის მოტყუება, გაცარცვა და გაღატაკება—აი ლოზუნგი ბოლშევიკებისა აჭარაში უკანასკნელ წლებში. აი მაგალითი ერთი ყაჩაღობის და ხალხის გაძვალტყავების: 1926 წლის დასაწყისში მოხდა რუსეთ-ოსმალეთ შორის საზღვრების შესწორება, რის გამოც სამი სოფელი, ქართველი მუსულმანებით დასახლებული: კირნათი, ოღლაური და ქავთარეთი ოსმალეთს ჩამოშორდა და აჭარას შეუერთდა. ოსმალეთის ქვეშევრდომობის დროს ხსენებულ სოფლების მცხოვრებთ თავის ბინებზე ჰქონდათ სავაჭროები და აჭარიდგან გამოსული მუშტარი მათგან ყიდულობდა სხვადასხვა ევროპის ფაბრიკატებს და ჩუმათ გადაქონდათ საზღვარზე. როდესაც ხალხმა გაიგო, რომ ოსმალეთმა ეს სამი სოფელი ბოლშევიკებს გადასცა, წინდაწინვე მოინდომა გამოერკვია, წაართმევდენ ბოლშევიკები საქონელს თუ მისცემდენ ნებას აშკარათ გაყიდვისა. ამ მიზნით ხალხი შეეკითხა ბოლშევიკურ მთავრობას ბათომში და ბოლშევკების წარმომადგენლებს ოსმალეთში და განუცხადეს, რომ თუ ბოლშევიკური მთავრობა მათ საქონელს წაართმევს, მაშინ ხალხი საქონელს ეხლავე გაჰყიდის ოსმალეთში—სანამ რუსები ჩაიბარებდენ ამ სოფლებს. ბოლშევიკებმა ხალხი დაამშვიდეს და ოფიციალურათ განუცხადეს რომ საქონელს არ ჩამოართმევენ, როგორც ახალ შემოერთებულ მხარეს და საბჭოთა კანონების მიხედვით ხალხს საშუალებას მისცემდენ საქონელის თავისუფლად გაყიდვისა მთელ რუსეთის ტერიტორიაზე. მთავრობა მხოლოდ აღწერს საქონელს და საბაჟოს პლომბას დააკრავს. ხალხმა დაუჯერა და დაენდო ბოლშევიკების განცხადებას, მაგრამ როცა რუსებმა ჩაიბარეს ეს სოფლები და მოსთხოვეს მცხოვრებთ საქონლების სრული სიები, ცოტა შეეჭვიანდენ და შეშინდენ. სასინჯათ რამოდენიმე კაცმა წარუდგინა საქონელი და ბოლშევიკებმაც იმ წამსვე დააკრეს პლომბა და დაუბრუნეს პატრონებს.

მაშინ ყველამ გაუღო სახლის კარები და მოიწვია საბჭოთა მოხელეები საქონლის ასაწერათ და დასაპლომბავათ. როცა ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს სულ ყველა საქონელი, დაპირებაც გასტეხეს, მოიყვანეს ჯარისკაცები ტყვიის მფრქვეველებით, დატვირთეს საბარგო ავტომობილებით 500.000 მანეთის და წაიღეს ბათომში. ეს მოხდა კირნათში. ოღლაურში და ქავთარეთში კი ხალხმა ჯერ არ გაატანა, მაგრამ რუსებმა მაინც დააგროვებიეს სოფლელებს საქონელი ერთ სახლში და ზედ ხიშტიანი რუსები დააყენეს. ხალხი დღე და ღამ უდარაჯებს «წითელ დარაჯებს», რომ ჩუმათ არ გაიტანონ საქონელი ბათომში, როგორც კირნათში ქნეს.

როცა კირნათელები ჩავიდენ ბათომში საკითხავათ, თუ რატომ წაიღო მათი საქონელი მთავრობამ, მაშინვე ყველანი დაატუსაღეს. შეიქნა «საქმე», ჩეკის სარდაფებში ჩაყრილ ხალხს დაუწყეს წამება ე. ი. «გამოძიება». მოინდომეს ხალხის შეშინება და ტუსაღებს ხელწერილებს სთხოვდენ, რომ საქონელზე უარს ვამბობთო. რამოდენიმე თვეს ასე აწამეს უდანაშაულო ხალხი და როცა წამებით ვერას გახდენ, ბოლოს გაუშვეს. სოფლელებმა დაიჭირეს ვექილები, გაგზავნეს ვექილებთან ერთად დელეგაცია ტფილისში და იქიდან მოსკოვში. ტფილისი დაპირდა, ბათომმა კვლავ უარი უთხრა, წავიდენ მოსკოვში, იქაც პირობა უთხრეს. ჩამოვიდენ ბათომში, საქონელი კი მაინც ვერ მიიღეს. ერთი წელია უკვე გრძელდება ეს საქმე და ბოლო მაინც არ უჩანს.

ამ საქმის დევნაში დაიხარჯა უკვე რამოდენიმე ათი ათასობით მანეთი. გლეხებმა გაჰყიდეს, რაც კი გააჩნდათ იმ იმედით, რომ საქმეს მოიგებდენ. ვერც უარს ეღირსენ და ვერც პირობას. საწყალ სოფლელებს გაძვრათ ტყავი და სრულიად დაღატაკდენ. ეძებენ სიმართლეს და სამართალს, მაგრამ ბათომიდან მოსკოვამდე ასეთი ვერსად ნახეს. მიუხედავათ იმისა, რომ ზემოხსენებული სოფლელები ძლიერ გახარებულნი იყვნენ აჭარასთან გაერთიანებით, დღეს ბედს იწყევლიან და საით გაიქცენ, არ იციან.

ამ უკანასკნელ ხანებში მთელ ბათომის ოლქში გაძლიერებულია ხალხის ჰერა. აუარებელი აჭარელი გლეხი გადაასახლეს შორეულ ციმბირში, ბევრი კი დღესაც ჩეკის სარდაფებში და ჩეკაში ჰყრია წლობით.

თუ ბოლშევიკების ეს აუტანელი ბატონობა დიდ ხანს გაგრძელდა, საშიშია, აჭარის გლეხობა არ გადაიხვეწოს მუხაჯირებათ ოსმალეთში.

ქართველ მუსულმანობას კარგათ ახსოვს ნიკოლოზის რეჟიმის მიერ გამოწვეული საშიშროების გამო ხალხის მასიური გადასახლება ოსმალეთში და დღეს ბოლშევიკების რეჟიმიც ამასავე უქადის ხალხს.

ეს არის ის ბედნიერება და სამოთხე, რომელსაც ბოლშევიკები პირდებოდენ ქართველ მუსულმანობას. დღეს ხალხი კარგად მიხვდა, რომ ბოლშევიკური რეჟიმი დამღუპველია და მხოლოდ მის დანგრევაში მოელის ხსნას. ისიც ყველასათვის აშკარაა, რომ «აჭარისტანის» და საქართველოს რესპუბლიკები ეს უბრალო თვალმაქცობაა და ნამდვილად კი რუსეთის უსაზღვრო ბატონობაა გამეფებული. გამოიცვალა მარტო სახელები: იყო შავი რუსეთი, არის წითელი რუსეთი, არ გამოცვლილა ერთი რამ, ეს არის სულ იმპერიალისტური პოლიტიკა. ნურავის გონია, რომ ჩვენ, ქართველი მუსულმანები ვერ ვერკვევით ბოლშევიკების დაფასებაში. ჩვენ ისე, როგორც მთელი საქართველო, მოველით ბოლშევიზმის დანგრევას და მთლიანი საქართველოს გამარჯვებას.

იანვარი 1927 წ. მოხუცი აჭარელი.

## ქართველები საფრანგეთში.

კვირას, 6 თებერვალს საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა კულტურულ-აკადემიურ კავშირში, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ბ. ნ. ჟორდანიამ წაიკითხა მეტათ შინაარსიანი მოხსენება «ახალ თაობაზე», რომელმაც სტუდენტების გარდა დიდი გარეშე საზოგადოება მიიზიდა. დამსწრე საზოგადოება მოხსენებით მეტათ კმაყოფილი დარჩა და მომხსენებელი ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა.

—თებერვლის 11 საფრანგეთის აზიურ საზოგადოებაში ჩვენმა ისტორიკოსმა ბ. ექ. თაყაიშვილმა წაიკითხა ფრანგულ ენაზე მოხსენება «იერუსალემის პატრიარქის დოსითეოზის ცნობები აფხაზეთის მეფეების შესახებ». თავის შესავალში მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სწორედ ასი წლის წინად ამ საზოგადოებაში პირველად ბროსემ წაიკითხა მოხსენება საქართველოს ისტორიაზე. ბ. ე. თაყაიშვილის მოხსენებამ დიდად დააინტერესა საზოგადოების წევრები.

### ქარ. სტ. კულტ. კავშირის კრების მიმართვა.

1. საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა კულტურულ-აკადემიური კავშირის დამფუძნებელი კრება მიესალმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და გამოსთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ მომავალშიაც უფლება აყრილ ქართველ ერის მთავრობა ენერგიულად და მხნედ განაგრძნობს სახელოვან ბრძოლას ქართველ ერის უზენაეს უფლების, მისი სრული სუვერენობის მოსაპოებლად. ჩვენი კავშირი კი ამ ბრძოლაში მუდამ თქვენთან იქნება და აქ გადმოხვეწილობისას შეასრულებს იმ კულტურულ მუშაობას, რომელიც გაადვილებს სამშობლოში დაბრუნებისას ერის აღორძინებისათვის დასახულ მიზნების განხორციელებას.

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას!

კავშირის თავმჯ.: მ. ხუნდაძე, მდივანი: ნ. ურუშაძე.

2. საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა კულტურულ-აკადემიური კავშირის დამფუძნებელი კრება მიესალმება ქართველ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებულ ბიუროს და გამოსთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ ქართველ ერის გაერთიანების საქმე, ქართველ ხალხის ხელმძღვანელ პოლიტიკურ პარტიათა საშუალებით,-მომავალში უფრო გაძლიერდება და გამტკიცდება, რადგან შემოსეულ მტრის დაძლევა მხოლოდ ქართველ ერის ყველა სასიცოცხლო ძალთა გაერთიანებითაა შესაძლებელი. ჩვენი კავშირის დამფუძნებელი კრება ღრმადაა დარწმუნებული, რომ გაერთიანებულ ბიუროში შემავალი ყოველი პოლიტიკური პარტია მთელ თავის ენერგიას და საშუალებებს მოახმარს რუსეთის ბატონობისაგან ქართველ ხალხის განთავისუფლების საქმეს.

გაუმარჯოს ქართველ ხალხს!

გაუმარჯოს ქართველ ერის მთლიანობას!

კავშირის თავმჯ.: მ. ხუნდაძე, მდივანი: ნ. ურუშაძე.

## რედაქციამ მიიღო

1. «სახალხო საქმე», მეორე რვეული, შემდეგი შინაარსით: მძიმე პირობები და მძიმე მოვალეობა.—საფა—რის: 25 წელი ქართულ კულტურის სადარაჯოზე, ს. ფირცხალავა: წარსული და მომავალი, ი. კ—ძე: ძვირფას ამხანაგების ხსოვნას, მ. წირი: სირცხვილის აცდენა, ი. გოგო—შვილი: ზოგიერთი მოგონება პარტიის ისტორიიდან, ნ. ურუშაძე: ჩვენი პარტია და ეროვნული მთლიანობის იდეა; პარტიის ცხოვრება; ს. კ.: რას უნდა მივაქციოთ პირველი ყურადღება, ბ. გ.: კომუნისტები და ევროპის მუშათა კლასი.

2. ჟურნალი «პრომეთე», № 3. შიგ მოთავსებულია: ბოლშევიზმი და ხალხთა ერთობა, პროფ. Scelle-ის: ერთა თვითგამორკვევა, გვაზავას: საქართველო და რომის იმპერია და სხ.

*Rédaction et Administration.*
M. J. GOBETCHIA
18, Rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.* Le Gérant : LARGILIÈRE.